პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 2, პარასკევი, 29 ოქტომბერი, 1943 წ. ფასი 1 მანეთი.

დღეს ნომერში:

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა.
სიმონ ჩიქოვანი — ლექსები.
კ. ლორთქიფანიძე — სიძულვილი.
ს. კლდიაშვილი — ირმის ხევი.
შ. დადიანი — ჩვენი დრამატურგიის გარ. შემო.
ი. გრიშაშვილი — პასუხად ახალგაზრდა მწერლებს.
ნ. გუდიაშვილი — ახალგაზრდა შემოქმედნი.
ი. ნიკოლაძე — ახალგაზრდა მხატვრები.
ა. საჯაია — ოლეგ კოშევოი.
კ. ძიძიგური — საოპერო სპექტაკლი.
გ. ნატროშვილი — ქართველი ჯარისკაცი.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

არმიის გენერალ მალინოვსკის

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები, რომელთაც ფლანგიდან გადამწყვეტ დახმარებას უწევდნენ **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარები არმიის გენერალ-**კონევის** სარდლობით, წარმატებით განაგრძობდნენ შეტევით მოქმედებას **დნეპრის** მარჯვენა ნაპირზე და დღეს, 25 ოქტომბერს, იერიშით აიღეს უკრაინის საოლქო ცენტრი ქალაქი **დნეპროპეტროვსკი** და ქალაქი **დნეპროძერჟინსკი (კამენსკოე)**, ჩვენი ქვეყნის სამხრეთი ნაწილის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრები და გერმანელთა თავდაცვის დიდი კვანძები მდინარე **დნეპრის** მოსახვევში.

ქალაქების **დნეპროპეტროვსკისა** და **დნეპროძერჟინსკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი ისახელეს გენერალ-მაიორ **გლაგოლევის**, გენერალ-მაიორ **კოსოგუცკის**, გენერალ-მაიორ **ალფიოროვის** ჯარებმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სუდეცის** მფრინავებმა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ნედელინის** და არტილერიის გენერალ-მაიორ **ალექსეენკოს** არტილერისტებმა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი:

პოლკოვნიკ **კულიჟსკის** 152-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ფესინის** 236-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **სუჩკოვის** ნოვო-მოსკოვსკის 195-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **კოლჩუკის** 353-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ბრეჩანის** ორიოლის წითელდროშოვანმა მე-6 მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ბროვკოს** შორი მოქმედების გვარდიის მე-3 საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ოსადჩის** გვარდიის მე-11 გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **ლინენკოს** გვარდიის 58-ე ნაღმტყორცნელმა პოლკმა, მაიორ **ბოროდკოს** 437-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ბალანდინის** მე-4 საპონტონო-სახიდო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ნომინასის** მე-5 საპონტონო-სახიდო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **კორჟოვის** მე-8 მექანიზებულმა საპონტონო-სახიდო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **მირონოვის** 518-ე საზარბაზნო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **გოლუბჩიკოვის** 1114-ე საზენიტო საარტილერიო პოლკმა, მაიორ **კოსტენკოს** გვარდიის 109-ე საზარბაზნო საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ **ვიზიროვის** 51-ე საინჟინრო-სასანგრო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **შკადოვის** 52-ე ცალკეულმა სატანკო პოლკმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად იმ შენაერთებსა და ნაწილებს, რომელთაც თავი ისახელეს ქალაქების **დნეპროპეტროვსკისა** და **დნეპროძერჟინსკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „**დნეპროპეტროვსკის**“ და „**დნეპროძერჟინსკის**“ სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:
დნეპროპეტროვსკის 152-ე მსროლელი დივიზია,
დნეპროპეტროვსკის 236-ე მსროლელი დივიზია;
დნეპროპეტროვსკის გვარდიის მე-3 შორი მოქმედების საავიაციო დივიზია;
დნეპროპეტროვსკის გვარდიის მე-11 გამანადგურებელი საავიაციო დივიზია;
დნეპროპეტროვსკის გვარდიის 58-ე ნაღმტყორცნელი პოლკი;
დნეპროპეტროვსკის მე-4 საპონტონო-სახიდო ბრიგადა;
დნეპროპეტროვსკის მე-5 საპონტონო-სახიდო ბრიგადა;
დნეპროპეტროვსკის მე-8 მექანიზებული საპონტონო-სახიდო პოლკი;
დნეპროპეტროვსკის 518-ე საზარბაზნო საარტილერიო პოლკი;
დნეპროპეტროვსკის 1114-ე საზენიტო საარტილერიო პოლკი;
დნეპროძერჟინსკის 353-ე მსროლელი დივიზია;
დნეპროძერჟინსკის 437-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი;
დნეპროძერჟინსკის გვარდიის 109-ე საზარბაზნო საარტილერიო პოლკი;
დნეპროძერჟინსკის 51-ე საინჟინრო-სასანგრო ბრიგადა;
დნეპროძერჟინსკის 52-ე ცალკეული სატანკო პოლკი.

ნოვო-მოსკოვსკის 195-ე მსროლელი დივიზია და ორიოლის მე-6 წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია, რომელთაც მეორედ ისახელეს თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნან **წითელი დროშის** ორდენით დასაჯილდოებლად.

დღეს, 25 ოქტომბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომელთაც გაათავისუფლეს ქალაქები **დნეპროპეტროვსკი** და **დნეპროძერჟინსკი**, — ორასოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქების **დნეპროპეტროვსკისა** და **დნეპროძერჟინსკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 25 ოქტომბერი.

◇

საბჭოთა ფილმები საზღვარგარეთ

უდიდესი წარმატებით სარგებლობენ დემოკრატიულ ქვეყნებში საბჭოთა მხატვრული და დოკუმენტალური ფილმები.

ბევრი ამერიკული გაზეთი აღტაცებულ რეცენზიას უძღვნის საბჭოთა სურათს „სტალინგრადს“. ეს სურათი შემდევი სათაურით „ქალაქი, რომელმაც შეაჩერა ჰიტლერი—გმირული სტალინგრადი“ ამერიკელ მაყურებელთათვის გამოუშვა კინოფირმამ „პარამოუნტ პიქჩორ“-მა. კომენტარიები დასწერა ცნობილმა დრამატურგმა ვექსლიმ, ხოლო ტექსტს კითხულობს პოპულიარული მსახიობი ბრიან დონლევი.

ამერიკული და ინგლისური გაზეთები აღნიშნავენ ფილმის განსაკუთრებულ რეალიზმს.

„ეს სურათი ახლანდელი ომის ყველაზე უფრო შესანიშნავი დოკუმენტალური ფილმია,—სწერს გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“.—იგი საუცხოვო სურათია, სადაც ასახულია საბჭოთა კავშირის დიდებული თავდაცვა. სურათი ცხადად გვიჩვენებს, რომ ჰიტლერს ბოლოს აუცილებელი დამარცხება მოელის“

გაზეთ „„დეილი მირორის“ სიტყვით, ეს ფილმი წარმოადგენს „ისტორიაში არ გაგონილი მამაცობის დიდებულ ძეგლს და ახლანდელი ომის ერთ-ერთ ყველაზე უფრო რეალისტურ დოკუმენტს“.

მეორე საბჭოთა ფილმზე „ლენინგრადი ბრძოლაში“ ინგლისური გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ სწერდა: „ეკრანს არასოდეს არ მოუცია ალყაშემორტყმული ქალაქის მსგავსი ასახულება. ეს დიდებული და ბრწყინვალე ფილმი გვიჩვენებს დიად ქალაქის არა მარტო სიმამაცეს, არამედ იმ შინაგან ძალასაც, რომელიც მან გამოიჩინა მაშინ, როცა ვერაგი მტერი მის დამორჩილებას შეეცადა“.

„ტაიმსი“, დეტალურად არჩევს რა ფილმს, სწერს: „ლენინგრადის სურათი ომის დროს დახატულია გაბედული კინო-ხაზებით. ეს არის წმინდა რეალისტური სურათი და მასში არ არის არც სიმბოლიზმი, არც ჩვეულებრივი ტრიუკები, თუმცა ფილმი გაცისკროვნებულია წარმოსახვის შუქით და გამსჭვალულია დეტალისა და მთლიანობის შეუმწიკვლელი გრძნობით“.

„დეილი უორკერი“ აცხადებს, რომ ეს სურათი გულს ხვდება „უფრო მეტად, ვიდრე სიუჟეტური ფილმი. ზოგჯერ ნერვები ვერ იტანენ ფაქტების ესოდენ ზუსტ აღბეჭდვას. ფილმი წარმოადგენს მკაცრ და იმავე დროს აღფრთოვანებულ სიმართლეს საბჭოთა ქალაქზე ომის დროს.. ეს ფილმი ყველამ უნდა ნახოს, უნდა ნახოს იმისათვის, რომ შეაფასოს, თუნდაც ნაწილობრივ, ჩვენი გმირი მოკავშირის მიერ შეწირული მსხვერპლი და მის მიერ მიღწეული წარმატება“.

„ნიუს რევიუ“ სწერს სურათ „სტალინგრადზე“: „დაუძლეველი ქალაქის სტალინგრადის ეს სურათი აღელვებს მაყურებელს უფრო მეტად, ვიდრე დღემდე დაწერილი ყველა სიტყვა მასზე. ფილმი უბრალოდ და იმავე დროს მჭერმეტყველურად მოგვითხრობს საბჭოთა მოქალაქეების სულიერ სიმტკიცეზე“.

„სპექტეიტორი“ ასე ახასიათებს „სტალინგრადს“: „ფილმი გადმოგვცემს ადამიანის სიმტკიცის აღმაფრთოვანებელ ისტორიას“.

ჩემი მამული

სიმონ ჩიქოვანი

არ დაერქმევა პატარა მხარე

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი მამული და ჩემი ხალხი?
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა დისკო,
ვინ გადაზომა კავკასის თალი?
ხომ ქართლში იშვა ნამდვილი გმირი,
სადაც ღვივოდა წინაპრის ფერფლი,
გადაგვაფარა სპეტაკი ჩრდილი,
გამოიყვანა ნესტანის ვეფხვი.
სად გამოწაფა პირველი ფრთენი,
თუ შესაფერი არ ჰქონდა სივრცე?
როგორ ასწია ღარიბი ჭერი
ან სად ჩასტია პირველი სიბრძნე?
როგორ იქნება, პატარა ვაკეს
მცირე ნიავით გაერთო იგი?
როგორ შესძლებდა განეკრთო აგრე
შთამგონებელი მაღალი ფიქრი?
არ დაერქმევა პატარა მხარე,
სადაც თვალივით ელვარებს გორი,
სად ამირანმა გაჭედა მთვარე,
ქართველი დედის ოცნების ტოლი.
და კიდევ იტყვით, პატარა არი,
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი!
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ქარი,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?

ვინა სთქვა

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო და ჩემი ნისლი?
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა დისკო,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?

აბა, შეადგით ერთმანეთს მთები,
შენისლული და შემკული სირმით;
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის;

ყოველ მწვერვალზე ციხე და კოშკი
ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით
ან მოაგროვეთ უხსოვარ დროში
ჩვენში დაღვრილი ბუნების ფერი;

გაზომეთ ფრთები იმ ქარიშხალის,
ჩამწყვდეული რომ ღმუოდა ხევით,
წყალი მქუხარი და საშიშარი
და ავარდნილი გუმბათი ზევით;

წინაპრის მიერ განვლილი სივრცე,
ჟამი ძლეული გაფრენილ ცხენით
და გორგასლანის ნაბიჯი მტკიცე,
მთად აღბეჭდილი ქართველის რწმენით;

შეახეთ ბრძოლით გაწრთვნილი ხელი,
დარუბანდიდან მოტანილ კარებს; —
და გაიხსნება სამშობლო ჩვენი,
უსასრულობის შემცველი მხარე.

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო და ჩემი ნისლი?
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა დისკო,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?

თავსაფარი

კიდით-კიდე ყანას მკიდნენ,
გადვიხედე, ფრიალებდა თავსაფარი.
გავიფიქრე, ვიდგეთ, ვიდრე დაღამდება.
აფრაა თუ პურში მდგარი კელაპტარი,
სალამოზე შინდისფერად აყვავდება.

ქარმა პურზე თავსაფარი აფრიალოს,
მოხატული, ყვავილივით დანისლული.
ვიგალობოთ თავსაფარზე სატრფიალო,
თავსაფარით ილიმება დანიშნული.
თავსაფარი იყო გლოვით დათალხული,
შეუსუნთქავს ბევრი ცრემლი, მარგალიტი,
ქალს ამკობდა, ვით ვაშლის ხეს გაზაფხული,
ყანაში და ომში მოგვცა მაგალითი.
ცეცხლში ყოფნა ოდითგანვე დაებედა,
ხმალთა შორის ის ყოფილა ჩაფენილი,
მაგრამ ხმალმა მისი მადლი ვერ გაჭკვეთა
და ხანძარში არ შეიქნა დაფერფლილი.
ირხეოდა, მხედარს ბრძოლად აცილებდა,
მიუძღოდა, როგორც კერის კელაპტარი,
და წინაპარს ნიავივით აგრილებდა
ომის ცეცხლში მოფრიალე თავსაფარი.
რა უწოდოთ, ლეჩაქია თუ მანდილი?
წმინდა გრძნობა დაიცავით, არ იწვოდეს.
ქართლის მთიდან ღრუბელივით გადახდილი
მოვიფაროთ, ბრძოლის ველზე მოგვიწოდებს.

სამშობლოში თავსაფარი დაფრიალობს,
პურის მკაში გამოვნახე, ვიგალობე;
თავსაფარზე ვაგუგუნოთ სატრფიალო,
ბნელის მშლელი,
ეშხი შენი მიწყალობე!

◇◇◇

პარტიზანებთან

შეშას არ უფრთხილდებიან. ტკაცა-ტკუცი გააქვთ ფიჭვის ფისიან ჯირკვებს, არყის ხის კუნძებს და მთელ მორებს. გავარვარებულ ალს შორდებიან, აქეთ-იქით იფანტებიან და ჰაერში ჰქრებიან ნაპერწკლები. ცეცხლის შუქზე კარგად მოჩანან მახლობელი ცაცხვის ხეები, ნეკერჩხლის დაშვებული და უკვე შეყვითლებული ტოტები. კრიალა ვერხვები. უფრო მოშორებით ჩაშავებული წყვდიადია.

მოულოდნელად ხმელი ფიჩხის ტკაცა-ტკუცი მოისმა, და ერთი წუთის შემდეგ ცეცხლთან გაჩნდა მზვერავი. ჩვრებში ფრთხილად გახვეული რაღაც ნივთი ეჭირა.

როცა ამ ავტომატიანმა მზვერავმა ჩვარი გახსნა, ყველამ დაინახა წვიმისაგან დასველებული ძველის-ძველი წიგნი.

იმ დღიდან პარტიზანები არ იცილებენ ამ წიგნს—„კობზარს“. თვალის ჩინივით, საბრძოლო იარაღივით უფრთხილდებოდნენ მას, კითხულობდნენ თავათ, კითხულობდნენ ცეცხლის შუქზე. უკითხავდნენ გადამწვარ სოფლებიდან ტყეში შეხიზნულ და ალაჩოხებში თავშეფარებულ გლეხებს. სთხოვდნენ მეავტომატეს წიგნს პარტიზანი ქალიშვილები, სთხოვდნენ „მარტო ერთი ღამით“ და კითხულობდნენ გვიანობამდის.

ყველას აღელვებდა კატერინას ბედი, მოტყუებული და შემდეგ დედ-მამის მიერ მშობლიური სახლიდან განდევნილი გლეხის ქალიშვილის ბედი. განსაკუთრებით აღელვებდა მისი ბედი პარტიზან ქალებს. გულწრფელ ცრემლებს იწვევდა იგი მათ თვალებზე.

მეავტომატესთან ამ წიგნისთვის მოდიოდნენ ბელორუსები და რუსები. გარს ეხვეოდნენ პარტიზანების მხარეზე გადმოსული სლოვაკები და სთხოვდნენ:

— ჩვენც გვასწავლე, გვინდა ვიცოდეთ ეგ სიმღერა: როცა სამშობლოში დავბრუნდებით, ვიმღერებთ, — ამბობდა მარტინ კ., ტანკისტი და მომღერალი.

ამხანაგებს შორის მორზე იჯდა გერმანულ ქურთუკში გამოწყობილი, მხრებზე მაზარაწამოსხმული და თოფით ხელში უკვე ხანდაზმული პარტიზანი. იგი დამწყები იყო სიმღერაში. გაცნობისას ვკითხე:

— თქვენ წინად, ალბათ, გუნდში მღეროდით?

— ვმღეროდი,—სთქვა მან ღიმილით, — დიდი ხანია მას შემდეგ. ახალგაზრდა ვიყავი. იცით მერე, ვის გუნდში ვმღეროდი? პავლე გრიგორის ძის ტიჩინას გუნდში. იქნებ შეხვდეთ, გადაეცით გულითადი სალამი.

ბევრი პარტიზანი წიგნების მეოხებით კარგად იცნობს უკრაინელ პოეტებს და მწერლებს. ხარბად გვეკითხებოდნენ მათ შესახებ.

— გადაეცით ყველას, — გვეუბნებოდნენ ისინი,—გამოგვიგზავნონ მხატვრული ლიტერატურა. ძალზე მოწყურებულნი ვართ წიგნს. ვღებულობთ გაზეთებს, ვღებულობთ ბროშურებს. არა გვაქვს მარტო მხატვრული წიგნი. ჩვენს რაზმში-კი წერა-კითხვის მცოდნე ხალხია. არიან რაზმში ექიმები, არიან ინჟინრები, ბლომად არიან მასწავლებლები-სტუდენტები. საუცხოვო ხალხია.

დიდ მოვლენად გადაიქცა რაზმში პირველი კინოსეანსი. სწრაფად მოედო პარტიზანთა ბანაკებს კინომექანიკოსის მოსვლის ამბავი. სურათის სანახავად მეზობელ რაზმებიდან მიდიოდნენ ქვეითები, ცხენოსნები.

სწრაფად მოაწყეს ეკრანი,—გაჭიმეს პარაშუტი ორ ფიჭვს შორის, და ჩამოწვა თუ არა ბინდი, ყველა მხრიდან იწყეს დენა პარტიზანებმა, ქალებმა და კაცებმა. უჩვენეს პარტიზანებს კინოჟურნალი და ფილმი „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“.

დიდხანს არ ჩამქრალა კოცონები იმ ღამეს. ერთ კოცონთან პარტიზანების მთელი ჯგუფი იჯდა. რამდენიმე სლოვაკი მღეროდა ლექსს „კობზარიდან“:

შუაში იჯდა და აკორდეონზე უკრავდა რაზმის საუკეთესო მემუსიკე ილია ნ. წყნარ ტყეში წარმტაცად გაისმოდა საუცხოვო სიმღერა.

ა. შიანი.

მხატვრები მტრის ზურგში

ბელორუსს მხატვართა ჯგუფი, რომელიც ომის დაწყებისას ფაშისტების მიერ ოკუპირებულ რაიონში მოჰყვა, პირველ დღიდანვე პარტიზანთა რაზმს მიეკედლა. მტრის ზურგში მხატვრები პასუხსაგებ დავალებებს ასრულებენ: აფეთქებენ საწყობებს და რკინიგზის შემადგენლობებს, სპობენ არამზადა ფაშისტებს, ხოლო საბრძოლო ოპერაციებისაგან თავისუფალ დროს შემოქმედებითს მუშაობას ანდომებენ.

ორი წლის განმავლობაში მათ თავიანთი მებრძოლი ამხანაგების ბევრი სურათი დაამზადეს. სახელდახელოდ შესრულებულ ჩანახატებში მათ პარტიზანთა ყოფა-ცხოვრების მრავალი სცენა მოგვცეს. განსაკუთრებული პოპულარობით პარტიზანთა რაზმში სარგებლობს ხელნაწერი ჟურნალი, რომელსაც პარტიზანი მხატვრები სამ ცალად სცემენ.

მძიმე საბრძოლო პირობების მიუხედავად, მხატვრები ფერწერაზედაც განაგრძობენ მუშაობას. ამას წინად მოახერხეს და რაზმიდან გამოიტანეს აღნიშნულ პარტიზან მხატვართა მიერ შესრულებული სამი საინტერესო კომპოზიცია: „გერმანელების მიერ გადამწვარი სოფელი“; „ფრიცების დატყვევება“ და „პარტიზანთა რაზმის გასვლა ოპერაციაზე“. ეს სურათები ამჟამად მოსკოვშია.



მზვერავები. გრავიურა ლინოლეუმზე ვ. ბელეცკაიასი.

ლენინ-სტალინის ეპოქის ახალგაზრდობა

გასაოცარი ვაჟკაცობის სახელი მოიხვეჭა საბჭოთა ახალგაზრდობამ სამამულო ომის ფრონტებზე. ჭეშმარიტად ეს ღირსეული აღნიშვნაა დღევანდელი თარიღისა—ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXV წლისთავისა. ჩვენი თაობა გახდა მოწმე კომკავშირის გარშემო დარაზმული ახალგაზრდობის ისეთი საგმირო საქმეებისა, რომლებიც თავისი ბუმბერაზობით ჩრდილავენ კაცობრიობის მიერ შექმნილ ლეგენდებს ადამიანის სულიერ სიმტკიცესა და ფიზიკურ გამძლეობაზე.

საბჭოთა ხალხი იმარჯვებს დიდი მხედართმთავრის სტალინის ხელმძღვანელობით. ჩვენი ქვეყნის ეს უეჭველი გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიაზე არის გამარჯვება ამავე დროს ჩვენი ახალგაზრდობისაც, რომელიც ბოლშევიკურმა პარტიამ აღზარდა და გამოაწრთო.

ესოდენ მასობრივი გმირობა და სიმამაცე, შეუპოვრობა და გულადობა, სიმტკიცე და ამტანობა, რომლებიც იარაღასხმულმა საბჭოთა ახალგაზრდობამ გამოიჩინა საერთოდ მთელი სამამულო ომის მიმდინარეობაში და კერძოდ უძნელესი ბუნებრივი ზღუდის—დნეპრის გადალახვის დროს, ომების ისტორიას არ ახსოვს.

გასტელო და ივანოვი, რომლებიც ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავებით მტრის კოლონებს რისხვად თავს ატყდებიან, სოსნოვსკი და მატროსოვი, რომლებიც თავიანთი სხეულით მტრის ტყვიამფრქვევის ამბრაზურს ეფარებიან, რომ შეტევისათვის თანამებრძოლებს გზა გაუკაფონ, კოსმოდემიანსკაია და ჩეკალინი, რომლებიც წარბს არ იხრიან ვერაგი და დაუნდობელი მტრის წინაშე, დღეს ერთეულებს კი არა, ათეულ ათასებს შეადგენენ.

საბჭოთა ახალგაზრდა ადამიანის სწორედ ეს მასობრივი გმირობა, მისი მორალური სიმტკიცე და იდეურობა, მისი შეუპოვრობა და გულადობა, მამულისათვის თავდადება და სიკვდილის არად ჩაგდება—თვისებები, რომლებიც მასში აღზარდა ბოლშევიკურმა პარტიამ, გახდა ჩვენი გამარჯვების ერთერთი პირობა.

კომკავშირმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ხალხის დიდებულ სოციალისტურ მშენებლობაში, რომელმაც უზრუნველჰყო ჩვენი უეჭველი გამარჯვება ვერაგ და მოსისხლე მტერზე. თავის მამებთან და უფროს ძმებთან ჩვენი ახალგაზრდები ჰქმნიდნენ მაგნიტოგორსკებს, და კუზბასებს, ურალისა და ციმბირის ინდუსტრიულ გიგანტებს, რომლებიც დღეს უხვად აწვდიან ფრონტს მრისხანე იარაღს და საომარ მასალას; საბჭოთა ახალგაზრდობის მადლიანი მარჯვენით აყვავდნენ საკოლმეურნეო ყანები და საბჭოთა მამულები, რომლებიც ჰკვებავენ დღეს ჩვენს სახელოვან ძლევამოსილ არმიას.

კომკავშირი ბოლშევიკური პარტიის ღვიძლი შვილია. ლენინ-სტალინის პარტია იყო და არის მისი აღმზრდელი. აქედანაა კომკავშირის და მის გარშემო დარაზმული მთელი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის იდეურობა, სიმტკიცე და შეუპოვრობა ბრძოლაში, დაუცხრომელი სიძულვილი მტრისადმი, უსაზღვრო სიყვარული და თავდადება სამშობლოსათვის.

1924 წელს, როცა საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს ლენინური კომკავშირის სახელი მიეკუთვნა, კომკავშირელთა ყრილობამ საქვეყნოდ განაცხადა:

— არა ლამაზი სიტყვისათვის, არა დასაკმაყოფილებლად სურვილისა ვატაროთ საუკეთესო სახელი ყველა სახელებს შორის, არა მარტო იმისათვის, რომ პატივი ვცეთ უდიდესი ადამიანის ხსოვნას, მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. არა! ჩვენ იგი მივიღეთ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხის მშრომელი ახალგაზრდობა თავის მოწინავე რაზმთან—ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირთან ერთად გაიმსჭვალოს ერთი ნებისყოფით და მტკიცე გადაწყვეტილებით—იცხოვროს, იბრძოლოს და იმუშაოს ლენინისებურად.

ეს დაისახა იდეალად კომკავშირმა და მთელმა საბჭოთა ახალგაზრდობამ. ეს იყო მისი აღთქმა და ფიცი. ლენინისებურად, სტალინისებურად იბრძვის და მუშაობს საბჭოთა ახალგაზრდობა, მჭიდროდ დარაზმული ბოლშევიკური პარტიის და მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის სტალინის გარშემო.

უმძაფრესი და უმძიმესი გამოცდა, რომელიც სამამულო ომის მრისხანე დღეებში ჩააბარა საბჭოთა ახალგაზრდობამ, ცხადჰყოფს, რომ იგი ასრულებდა და ასრულებს თავის აღთქმას ისე, როგორც არ შეუსრულებია არც ერთ ეპოქის და არც ერთ სხვა ქვეყნის ახალგაზრდობას სამშობლოსა და კაცობრიობის წინაშე.

ჭეშმარიტად უძლეველი და უკვდავია ხალხი, რომელსაც ასეთი ახალი თაობა ჰყავს.

○

გალაქტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავი

მიმდინარე წელს შესრულდა გალაქტიონ ტაბიძის დაბადებიდან ორმოცდაათი, ხოლო ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყებიდან ოცდახუთმეტი წელიწადი. ამ თარიღის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა გამოჰყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: შ. რადიანი (თავმჯდომარე), შ. დადიანი, ს. ჩიქოვანი, ი. აბაშიძე, ს. ეული, ბ. ჟღენტი, რ. გვეტაძე, პ. კეშელავა (კომისიის მდივანი).

ახალი წიგნები

სახელგამის სამხედრო განყოფილება ამ მოკლე ხანში გამოუშვებს შემდეგ წიგნებს: კრებულს „ჩვენი სამშობლო“ (რუსულ ენაზე), სადაც მოთავსებული იქნება დიდ რუს მწერალთა წერილები და მოსაზრებანი სამშობლოსა და სამშობლოსადმი სიყვარულზე, კრებულს „ქართული ლიტერატურის კლასიკოსები სამშობლოს დაცვის შესახებ“. ასეთივე კრებულები გამოვა სომხურ და აზერბეიჯანულ ენებზე, სადაც მოთავსებული იქნება ამ ერთა კლასიკოსების წერილები და მოსაზრებანი სამშობლოს სიყვარულზე და მის დაცვაზე.

კომკავშირის 25 წლისთავისათვის სამხედრო განყოფილების გამომცემლობა ბეჭდავს შემდეგ წიგნებს: „კომკავშირელები—საბჭოთა კავშირის გმირები“, „ამიერ-კავკასიის ხალხთა კომკავშირელები გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში“. ამავე გამომცემლობას განზრახული აქვს გამოსცეს ცალკე წიგნებად ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ანდაზები და მოსწრებული თქმები.

სიძულვილი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

მოხუცმა მჭედელმა, ყუბანელმა კოლმეურნემ ლუკა ვეჩორამ გვითხრა:

— თქვენ ეხლა გიკვირთ, რომ ჩემისთანა ღრმა მოხუცმა ამდენ საქმეს თავი გავართვი! იცით, ეს რამ შემაძლებინა? რამ ამაღებინა ხელში მოხუცებულობის გამო მიტოვებული ჩაქუჩი?!.. მე ვნახე, როგორ მოჰკლეს ჩვენი სოფლის კოლმეურნე, ქვრივი დედაკაცი ანტონინა პობეგაილო...

მჭედელმა გვიამბო:

სოფელ კურჩანკაში ცხოვრობდა ყველასაგან დაფასებული და პატივცემული კოლმეურნე ქალი, ანტონინა პობეგაილო.

ანტონინას სამი ვაჟი — ერთი მფრინავი და ორი არტილერისტი, — სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ.



ოჯახში ეხლა მოხუც დედაკაცს ორი რძალი და ხუთი შვილიშვილი ჰყავდა. შვილიშვილებში ყველაზე უფროსი თერთმეტი წლისა იყო.

სამი გამრჯე ლომკაცი მოაკლდა ანტონინა პობეგაილოს ოჯახს, მაგრამ მისი ოჯახი მაინც ხელმომთბარი იყო. რძლები და თვითონ დედამთილიც კაცების მაგივრად დატრიალდნენ კოლმეურნეობაში; მეწველი ძროხა, ათიოდე ღორი და ცხვარი... კიდობნებში ბლომად ეყარა ხორბალი და ეზოც სავსე იყო შინაური ფრინველით.

მაგრამ, აი, შარშან შემოდგომაზე სოფელში გერმანელი შემოვიდა.

პირველ დღესვე ფაშისტმა მტაცებლებმა ყველა ცხვარი და ღორი დაუკლეს პობეგაილოს ოჯახს. მერე შინაურ ფრინველს დაერივნენ...

ანტონინამ შვილიშვილები წინ გაირეკა, გარნიზონის უფროსს მიადგა და შესჩივლა.

— თქვენმა ჯარისკაცებმა აღარაფერი შემარჩინეს! ბავშვები მაინც შეიბრალეთ, ზამთარში სიმშილით დამეხოცებიანო.

გარნიზონის უფროსმა, ობერ-ლეიტენანტმა ვებერმა თავაზიანად მოუსმინა მოხუც დედაკაცს, სკამიც მიაწოდა, შვილიშვილების სახელებიც გამოიკითხა და მერე ასევე თავაზიანად მიუგო:

— გერმანელი ჯარისკაცი მშვიდობიან მოსახლეობას არას ერჩის, თქვენთან ნამდვილად რუმინელები მოვიდოდნენ. ყველა ისინი უსაშველო ქურდები და მძარცველები არიან! თქვენი თხოვნა შეწყნარებული იქნება!

დაიმედებულმა დედაკაცმა ფრენით გამოსწია სახლისაკენ.

მწვანე მუნდირში გამოწყობილმა ორფეხა მხეცმა მართლაც „შეიწყნარა“ ანტონინას თხოვნა, შეიწყნარა იმგვარად, როგორც „ახალი წესრიგი“ ითხოვდა.

მეორე დილას ანტონინა პობეგაილოს ეზოში გერმანელმა ჯარისკაცმა შეაბიჯა, იგი როგორც დაბარებული, ბოსელში შევიდა, ძროხას თოკი შეაბა და გარეთ გამოიყვანა.

თავზარდაცემულ ანტონინას ენა დაება. მოხუცი ქალი წინაკარში იდგა და გახევებული შესცქეროდა, როგორ ექაჩებოდა ქუჩისაკენ გერმანელი ჯარისკაცი მისი შვილიშვილების ერთადერთ მარჩენელ ძროხას.

გერმანელი ხან თოფის კონდახს ფერდში მიაზელდა გაჯიუტებულ პირუტყვს, ხან თოკით ეწეოდა ჭიშკრისაკენ.

ასე ქიჩავ-ქიჩავში იყო იგი, რომ ერთბაშად გონს მოსულმა დედაკაცმა ძროხას სახელი დაუძახა.

უბრალო შემთხვევა იყო, თუ ანტონინას მართლა ასე ჰყავდა ძროხა შეჩვეული, — სახელის გაგონებაზე პირუტყვმა თავი მოაბრუნა, მერე მოყინულ მიწას წინა ფეხები მიაბჯინა და დადგა.

ბევრი უტრიალა ძროხას გაჯავრებულმა გერმანელმა, ბევრი ურტყა წიხლი და კონდახი, სანამ ძროხას ადგილიდან დასძრავდა.

— როზა! — უფრო ალერსიანად დაუძახა დედაკაცმა.

ძროხა ისევ დადგა.

მაშინ გერმანელი მობრუნდა, გამოციებული თვალები ცრემლად გამდნარ ანტონინას დაუბრიალა და უბრძანა:

— აქედან გამეცალე, შე ბებრუხანა!

ანტონინას თითქოს არც გაუგონია.

— შინ შედი-მეთქი! — ხელმეორედ დაუღრიალა გერმანელმა, მაგრამ ანტონინა ისევ წინაკარში იდგა და როგორც მონუსხული, საყვარელ პირუტყვს მისჩერებოდა.

მაშინ გერმანელმა ავტომატი გადმოიღო და ანტონინა პობეგაილო მოჰკლა.

მოხუცი დედაკაცი სამოცდაშვიდი წლისა იყო. იგი მოჰკლეს რძლების, შვილიშვილებისა და მეზობლების თვალწინ.

ლუკა ვეჩორა დაესწრო ამ შემაძრწუნებელ ამბავს.

ამ დღიდან მან შეიძულა გერმანელი იმ საშინელი სიძულვილით, რამაც შეუძლებელი შეაძლებინა მოხუც მჭედელს.

საბჭოთა ადამიანის გულმა ლუკა ვეჩორას ასწავლა, რა იყო იმისათვის საჭირო, რომ ეს წმინდა გრძნობა საქმედ ქცეულიყო.

იგი მეოთხმოცე წელში იყო გადამდგარი, — ძალა აღარ შესწევდა, რომ ტყეში პარტიზანად გასულიყო. მაგრამ როდესაც ჩვენმა ძლევამოსილმა ჯარმა მისი სოფელი ფაშისტურ უწმინდურებისაგან გასწმინდა, ლუკა ვეჩორამ ძველი მივიწყებული ხელობა გაიხსენა და სამჭედლო გამართა.

გერმანელ დამპყრობლისადმი სიძულვილმა თითქოს წლები გაუნახევრა და ძალღონე შეჰმატა მოხუც მჭედელს.

გადამწვარ, გაძარცულ სოფელს მიშველება სჭიროდა.

ლუკამაც მონახა თავისი ხელსაწყო, რომ ტანკებისა და ზარბაზნებისაგან გადათხრილ ყუბანის მიწას ჭრილობა მალე მოშუშებოდა.

საჭირო იყო დამტვრეული, ჟანგმოდებული გუთნებისა და ბარსაკვეთების შეკეთება, რომ კოლმეურნეობის მინდვრებზე ისევ დაეწყო ჯეჯილს ბიბინი.

მოხუცი მჭედელი დღე და ღამეს ასწორებდა სახელდახელოდ გამართულ სამჭედლოში, რომ კოლმეურნეობის გუთნები დროულად გასულიყვნენ მინდვრად.

მან ეხლა იცოდა, რაც უფრო მეტი დაითესებოდა, — უფრო დაჩქარდებოდა ანტონინა პობეგაილოს მკვლელების დამარცხება.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ორი კაცი მიაშველა მოხუც მჭედელს.

ლუკა ვეჩორამ ახედ-დახედა ორივე თანაშემწეს.

— არა, — უთხრა მან ორივეს:— თქვენ ჯანი არ გაკლიათ, თითქმის ახალგაზრდებათ ჩაითვლებით, თქვენ მინდვრად უფრო საჭირო ხართ! მე უფრო ხნიერები გამომიგზავნეთ, ქურის გაჩაღებას და საბერველის დაბერვას ისინიც შესძლებენო!

იგი ახალგაზრდას უწოდებდა სამოცწლიან კოლმეურნეს.

ასე ამოქმედებდა მოხუც მჭედელს გერმანელ დამპყრობლისადმი გაუნელებელი სიძულვილი, იგი ცდილობდა მეტი დაეთესა, რათა წითელარმიელს, — უმწეო ქალებისა და ბავშვების მკვლელებზე შურის მაძიებელს, — მეტი სამარი საგზალი ჰქონოდა.

ასე მუშაობდა ყოველი ქალი და კაცი, რომლებმაც გერმანელთა „ახალი წესრიგის“ ველურობა განიცადეს.

ამ თავდადებულმა შრომამ გაპარტახებული სოფელი ისევ წელში გამართა.

ეხლა მხოლოდ სადმე გზისპირად გადახრილი ან ჭაობიან ღელიანში ჩაფლული გერმანელთა ტანკებისა და ზარბაზნების ჩონჩხები მოწმობენ, რომ არც ისე დიდიხნის წინად ამ სოფელში ომის ქარცეცხლი ტრიალებდა.



ლუკა ვეჩორა ამაყად გასცქეროდა მისი სამჭედლოდან გამოსულ გუთნებს, თითქოს იქიდან გუთნები კი-არა, ტანკები გამოსულიყვნენ, მან იცოდა, — ზურგში კარგად მომუშავე გუთანი ისეთივე ძლიერი ძალა იყო მტერზე გასამარჯვებლად, როგორც ფრონტზე მებრძოლი ტანკი.

მოქმედი არმია. ოქტომბერი.

ირმის ხევი

სერგო კლდიაშილი

პიესა ასახავს კავკასიის ხალხთა ბრძოლას გერმანელ დამპყრობლების წინააღმდეგ. მოქმედება სწარმოებს მთებში საქართველოს საზღვართან. ჩვენი სარდლობის დავალებით მტრის მიერ დაკავებულ სოფელში იგზავნება შალვა საბაშვილი. სოფელს აკრძალული აქვს უცხო ვინმეს მიღება. თუ ამ ბრძანებას არ დაიმორჩილა, გერმანელი დამპყრობლები მას გადასწვავენ და ააწიოკებენ, მაგრამ ხალხი, შურისძიებას მონატრული, დამალავს მას და მტრის წინააღმდეგ მუშაობაში ხელს უწყობს და შემდეგ თითონ ხალხი აქტიურად მონაწილეობს ბრძოლაში. მოყვანილი ნაწყვეტი წარმოადგენს მეორე მოქმედების პირველ სურათს.

დოლგათის სახლი. ღამეა. ასმათი ლანგარზე ხილს აწყობს.

დოლგათ: ეგ რა ხონჩაა?

ასმათ: დღეს ომარის დაბადების დღეა. დედამ მთხოვა, გამიმზადეო.

დოლგათ: ეს დღე ჩვენთვის ბედნიერი უნდა ყოფილიყო. საბრალო შვილო! სიმღერა, ცეკვა, მოლხენა იქნებოდა ახლა ჩემს სახლში. ამის მაგიერ კი ტირილია და გლოვა. ვაჟკაცი ვაჟკაცურად რომ მოეკლათ, ასე არ ვინაღვლიდი. ღირსეული დასასრული სიკვდილთანაც შეგარიგებს. მაგრამ დაჭრილი, უკვე უღონო, ძალმილეული ჩაიგდო ხელში, ყელში ბაწარი გამობა და ათრიო, თითქო ძაღლია დასაღრჩობი, ათრიო იმის შემდეგაც, როცა უკანასკნელი სუნთქვა აღმოხდება... არა, მასზე მწუხარება არასოდეს არ გამინელდება.

(გარედან მოისმის ძლიერი ქარის ხმა).

ასმათ: რა საშინელი ღამეა!

დოლგათ: სად არის აქამდე დედა-შენი? ბნელა და ისეთი ქარია, რომ ხევსაც ხრის. უბედურება კმარა ჩვენს თავზე. ამიერიდან კარებსაც ჩავკეტავ, აღარ გავუშვებ.

ასმათ: ნუ გაუჯავრდები. გულს მოიოხებს, დაბრუნდება.

დოლგათ: შინ ტირილს არავინ უშლის. იმ ბედშავ დღიდან არ შემშრალან მისი თვალები. მძინარეც ვერ დამშვიდებულა. წუხელ ძილში ვიღაცას ელაპარაკებოდა. მერე უეცრად წამოიჭრა, კარებს მივარდა, წასვლა დააპირა. დროით მივუსწარ, შევაჩერე. ძლივს შევძელ მისი დაბრუნება.

ასმათ: მითხრა, ღამე ომარის ხმა მომესმაო... მეძახდაო.

დოლგათ: მწუხარებამ გონება აურია. ასეთი ყოფილა მისი ბედი. ჩვენც განწირულნი ვართ.

ასმათ: და ამ ბედს შევურიგდეთ? ამას გვირჩევ?

დოლგათ: არა.

ასმათ: მაშ შურისძიებს ომარისათვის?

დოლგათ: მაგაზე ფიქრს თავი დაანებე. (წუთიერი სიჩუმის შემდეგ) როგორ გგონია, შემიძლიან ბედის მორჩილი დავრჩე? მაგრამ როგორ ვებრძოლო მას?

(ქარი ისევ ბობოქრობს)

დოლგათ: (წამოდგება, კარს გააღებს) ფატიმეტ! (პასუხს არავინ აძლევს. კარს მიხურავს, დაბრუნდება). ასეთ ღამეში ნადირიც არა სცილდება თავშესაფარს.

ასმათ: ასეთ ღამეში, ვინ იცის, რამდენი ადამიანი დაეხეტება საშიშ ხევში. ასეთ ღამეში კაცი გარედ დავტოვეთ. ცუდად მოვიქეცით, მამა.

დოლგათ: შენ ვერ მასწავლი, რა არის ცუდი და რა კარგი. სოფელმა ვერ გაბედა მისი მიღება, მე რა შემეძლო.

ასმათ: ის დაღლილი იყო და უმწეო.

დოლგათ: მასზე ფიქრს თავი დაანებე. მეც ნუღარ მომაგონებ.

იგივენი და ამირხან.

ამირხან: მარტონი ხართ? შენი დედაკაცი სად არის?

დოლგათ: რატომღაც შემკრთალი მეჩვენები. რად იკითხე ფატიმეტი?

ამირხან. წეღან ისინი სოფლის განაპირას ნაპრალის თავზე დავინახე.

დოლგათ: ვინ ისინი? ვინ დაინახე?

ამირხან: შინ ვიყავ და ჩემი დედაკაცის დაბრუნებას ველოდებოდი. უეცრად გარედან ხმა მომესმა. გავედი, მივაყურადე. ქალის ხმა შევიცანი. გავსწიე იქით და დავინახე, რომ ნაპრალის თავზე რაღაც შავი ლანდები გადამდგარიყვნენ. შევკრთი, ავი სულები მეგონენ. ახლოს ვიყავი და მათი ყოველივე მესმოდა. ბოლოს, გავარჩიე, ჩვენი სოფლის დედაკაცები იყვნენ. თავიანთ დაღუპული შვილების სახელებს გაიძახოდნენ. უხმობდნენ, შინ იპატიჟებდნენ. იქნებ ზოგიერთის სული მართლაც იპოვნეს.

დოლგათ: მოხუცო, წლებმა გონება აგირია.

ამირხან: შენ ცოდვილი ხარ, დოლგათ. ისიც არა გწამს, რომ მიცვალებულის სული თავის სამშობლო ადგილს დასტრიალებს. ცოცხალზე უფრო მას სჭირდება მოვლა და პატრონობა.

დოლგათ: უმჯობესია ის მითხრა, რა იქნენ დედაკაცები?

ამირხან: ბილიკს გაჰყვნენ. დავედევნე, მაგრამ სიბნელემ დაფარა ისინი. მეგონა, აქეთ წამოვიდნენ. სად ვნახო, აღარ ვიცი. (წავიდა).

დოლგათ: მომეცი ქუდი. იქნებ ვიპოვო ის უბედური. ასეთ ღამეში რა უნდა გარედ! **(წასვლას აპირებს. კარი გაიღება და შემოვა შავებში ჩაცმული ექვსი დედაკაცი, რომლებსაც ფატიმეტი მოუძღვის. დედაკაცები გალობენ)**

დოლგათ, ასმათ, ფატიმეტ, ექვსი დედაკაცი.

ფატიმეტ: (აღგზნებული მოსჩანს) ფართოდ გააღეთ კარები! გაიხარენით! ომარის სული შინ მოვიყვანე.

დოლგათ: ფატიმეტ!

ასმათ: დედა!

ფატიმეტ: აქამდე, ვით გარეწარი, უთვისტომო, მთა-ბარში დაეხეტებოდა. ახლა ინება შინ დაბრუნება. მობრძანდი, შვილო, სულო პატიოსანო! აჰა შენი სახლი, დაისადგურე შენს საბუდარში. აქ გშობე მწარე ტკივილებით, აქ გაგეხილა პირველად თვალი. აქ ირწეოდა შენი აკვანი და მშობლის ნანა გზრდიდა ვაჟკაცად.

დოლგათ: დედაკაცო, გონს მოდი, რა გემართება!

ფატიმეტ: გააღვივეთ კერა! დარში, ავდარში ქარს დაჰქონდა ბუმბულივით მსუბუქი მისი სული. სციოდა, სითბო ენატრებოდა. ღამე ქურდულად მოდიოდა და მეძახდა. რა შიში გქონდა, შვილო, ვის უფრთხოდი, რატომ თამამად არ შემოაღე კარები!

1-ლი დედაკაცი: წმინდა პურის ნაწილო,
მამის ოქროს გუთანო,
დედის ჩიქილ-მანდილო,
პაპის ქამარ-ხანჯალო,
შინდის ტოტზე ყვავილო,
ცვარით გახარებულო.

ფატიმეტ: ხევში ბორიოს შენი ხმა დაჰქონდა. მიხმობდა საშველად და მეც გეძებდი. მოვედი და გიპოვნე. მე სატირალი აღარაფერი მაქვს. შენ უკვე შინ მყავხარ, შენი თავი ჩემს კალთაში ისვენებს. მე ახლა ისევ დედა ვარ ბედნიერი.

მე-2 დედაკაცი: ცისკარზე ადგებოდე,
ჭალას ჩაინადირებდე,
ჭალა ეკლიანია,
მინდორი დანამული.
დაიჭერდე ხოხობსა,
მზით დაფერილ ფრთიანსა.

ფატიმეტ: ისევ მდიდარი, მხიარული გახდა ჩემი სახლი. შენი თვალები ისევ შემომცქერიან. ისევ მესმის შენი ხმა, არწივის ყორყოტი მგონია. დედა ვარ შენი და ამაყი ვარ შენით. სად მქონდა ამ ოხერ მკერდში ამდენი ძალა, რომ ასეთი ვაჟკაცი გაგზარდე! თუ არის კიდევ დედა ჩემზე ბედნიერი?

მე-3 დედაკაცი: შენი სახლი სასახლე
ნათალი თეთრი ხეა,
გარს ია ამოსულა,
შიგ ალვის ხე მწვანე.
სახლის კარი შეაღე
პატარძალი გელის.

ფატიმეტ: მისი რჩეული, მტრედი უმანკო, მთის ყვავილი შეულახავი, მალე შემოვა პატარძალი ჩემს სახლში. ფარდაგები დაუფინეთ, შარბათი შეაგებეთ, წყურვილი მოიკლას ნაგზაურმა. ჩემს ვაჟკაცს მიართვით ხონჩა მისთვის დამზადებული. ლუდი და არაყი მიაწოდეთ, პატივი ეცით ღირსეული, სიმღერა სთქვით და მოულხინეთ. თუ არის კიდევ დედა ჩემზე უფრო ბედნიერი?

მე-4 დედაკაცი: შინდის ტოტი გამხმარი,
მთვარის ნამი გამშრალი.

მე-5 დედაკაცი: ცისკარი დანისლული,
ფრთა მომტყდარი ხოხობი.

ფატიმეტ: ავაი, ავაი! არასოდეს ჩემი სახლი არ გაიხარებს!

დოლგათ: გეყოფა, კმარა, წაიყვანეთ, მოასვენეთ!

ფატიმეტ: ავაი! გაცივდა სისხლი მის სხეულში, თვალში ნათელი სამუდამოდ ჩაუქრა. ის იყო ამაყი და ქედმოუხრელი. ახლა კი უძრავად გდია, თითქო პატარა ქვა მდინარის ფსკერზე, მშვიდი და უღონო. მხოლოდ ხმა დარჩა მისი ჰაერში. ის მოაქვს ნიავს, ხევის ბორიოს და მომიწოდებს, სისხლი ვიძიო. ვინ მიწინამძღვრებს, რომ შენთვის, ომარ, დედებო, თქვენი შვილებისათვის დაუნდობელი შური ვიძიო? ავაი, ავაი!

დოლგათ: წამოდი, ფატიმეტ, მოისვენე. ჩვენს მწუხარებას მე და შენ ვერასოდეს ვერ გამოვიტირებთ. (მიჰყავს საძინებელ ოთახში).

დედაკაცები: (მიჰყვებიან) ავაი, ავაი!

მზადება პ. ი. ჩაიკოვსკის იუბილესათვის

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია პ. ი. ჩაიკოვსკის [illegible] 50-[illegible] წლისთავის აღსანიშნავად აწყობს სიმფონიურ კონცერტების მთელ ციკლს. კონცერტების პირველ განყოფილებაში შესრულებული იქნება ჩაიკოვსკის ყველა ექვსი სიმფონია, მეორე განყოფილებაში ნაწყვეტები ოპერებიდან „იოლანტა“, „ოპრიჩნიკი“, „გრძნეული ქალი“, „რომეო და ჯულიეტა“; არიები ოპერებიდან „ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“ და „ფრანჩესკა დირიმინი“. ერთ-ერთი სიმფონიური კონცერტის პირველ განყოფილებაში შესრულებული იქნება სიმფონია № 5, ხოლო მეორე განყოფილებაში გაიმართება ვიოლინოს კონცერტი ორკესტრთან ერთად. იდირიჟორებს ო. დიმიტრიადი, ხოლო სოლოს ვიოლინზე შეასრულებს დ. ოისტრახი. გარდა ამისა გათვალისწინებულია სიმბიანი კვარტეტის (მიუკაშვილის, ბარნაბიშვილის, იაშვილის და ბერიძის) მიერ ჩაიკოვსკის კვარტეტის № 2-ის შესრულება. ჩაიკოვსკის „ტრიოს“ შეასრულებენ ჭიაურელი (ვიოლინო), ბარნაბიშვილი (ვიოლონჩელო) და ქავთარაძე (როიალი). გაიმართება კამერული მუსიკის ათი საღამო ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან. მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან მომღერლები და მუსიკოსები: სოხაძე, ცომაია, ანდღულაძე, ამირანაშვილი, გამრეკელი, ინაშვილი, გოსტენინა, ბადრიძე, კრავეიშვილი, ჩაკალიდი, ფლიერი, რიხტერი, გილელსი და სხვები.

ოპერა ვანო სარაჯიშვილზე

1944 წელს სრულდება 20 წელიწადი ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალებიდან. ამ თარიღის აღსანიშნავად კომპოზიტორმა აკ. ანდრიაშვილმა, ოპერის „კაკო ყაჩაღის“ ავტორმა, დასწერა ოთხმოქმედებიანი ლირიკული ოპერა „ნაპრალი“, სადაც მომქმედ პირებად სხვებთან ერთად გამოყვანილნი არიან ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი.

ოპერის ლიბრეტო, რომელსაც საფუძვლად უდევს ალ. ქუთათელის ნოველა „აბესალომ და ეთერი“, დამუშავებულია თვით კომპოზიტორის მიერ.

ბალეტი „კოპელია“

ალკკ-ის 25 წლისთავის აღსანიშნავად ზ. ფალიაშვილის სახელ. ოპერისა და ბალეტის თეატრი ბალეტის ახალგაზრდა მსახიობთა ძალებით დასადგმელად ამზადებს ბალეტს „კოპელიას“.

დადგმის საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს სტალინური პრემიის ლაურეატს, რესპუბლიკის სახალხო არტისტ ვახტანგ ჭაბუკიანს.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ ა. წერეთელი, ი. მეტრეველი, ა. ოგანოვა, ზ. კიკალეიშვილი, ი. ორჯონიკიძე, ლ. მხეიძე, ვ. დოლიძე და სხვები.

დირიჟორობს დ. მირცხულავა. მხატვრული გაფორმება დავალებული აქვს ი. ასკურავას.

ახალი სიმღერები

ქვემოთ ჩამოთვლილი კომპოზიტორები სწერენ მუსიკას შემდეგი ქართველი პოეტების ლექსებზე:

კომპოზიტორი ა. ბუკია—„რა კარგი ხარ“ ი. გრიშაშვილისა, „სიზმარი“ მ. ჯაფარიძისა და „სადღეგრძელო იყოს მისი“ გ. ტაბიძის.

ვ. კურტიდი—„გუშინდელ სატრფოს“ მ. ჯაფარიძისა, „არწივი“ ვაჟასი.

ა. მაჭავარიანი—„1860 წელი“ ილიასი, „ციალას წერილი ბებიას“ გ. ქუჩიშვილისა.

ვ. ცაგარეიშვილი — „სტალინგრადი“ ა. აბაშელისა.

გრ. ჩხიკვაძე—„გიყოთ ფხიზელნი“ ა. აბაშელისა, „ყვავილი“ გრ. ჩხიკვაძისა.

შ. მშველიძე—„კაპიტანი ბუხაიძე“ ი. აბაშიძისა.

ალ. შავერზაშვილი — „ქართული დივიზიის სიმღერა“ კრემლიოვ-სვენის.

ჩვენი დრამატურგიის გარშემო

შალვა დადიანი

მიღებულია საერთოდ ის მოსაზრება, რომ ქართული დრამატურგია ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში ხნოვანებით ყველა სხვა ჟანრზე უმცროსია...

დრამატურგიის მაღალ-დანიშნულება აღარავინ აღარ ედავება.

აღარც იმაზე კამათობს ვინმე, რომ თეატრში წამყვანი მაინცა დამაინც დრამატურგიაა.

ეს ეტაპი, საბედნიეროდ განვლეთ უკვე.

მაშასადამე ეხლა საჭიროა იმის თვალის გადავლება, ერთხელ კიდევ შემოწმება იმისი თუ რამდენად მაღალხარისხოვანია ქართული თანამედროვე დრამატურგია, დგას თავის სიმაღლის დონეზე თუ არა, რამდენად ემსახურება იგი თანამედროვე საჭირო საკითხების გაშუქებას, ისტორიულ თუ თანამედროვე პრობლემების გადაჭრას.

ჩვენ ვიცით, რომ ქართულ დრამატურგიას დიდი ტრადიცია არა აქვს. ზრდა და გაფურჩქვნა ქართული დრამატურგიისა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

და ცხადია, სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ჩვენი თეატრების ბრწყინვალე მიღწევებს. ამის დამამტკიცებელია მათი გასტროლები რუსეთში, სადაც სწორედ ქართულმა ორიგინალურმა პიესებმა და მათმა შესრულებამ მიიქცია აუდიტორიისა და პრესის დიდი ყურადღება.

ასე იყო აქამდე და თითქო ჩვენი თეატრები და ჩვენი დრამატურგია ხელ-ხელ ჩაკიდებულნი აპირებდნენ თავიანთი მშვენიერი საქმის უფრო ფართოდ გაშლას, მაგრამ უეცრად... ჩამოვარდა სიჩუმე, ქართული ახალი პიესები ისე აღარ ხმაურობენ, თარგმანებმა და კლასიკოსებმა, თუმცა კლასიკოსებმა ნაკლებ, დაიჭირეს მთავარი ადგილები ჩვენს სეზონებში.

დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ, მხოლოდ აქა-იქ გაიელვეს ომის ამბებზე აგებულმა პიესებმა ჩვენს თეატრებში (გ. მდივნის სამმა პიესამ, ბ. გამრეკელის „გრიგალმა“) და თითქო ამაზე შეჩერდა საქმე, მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ არის.

მართალია, საერთოდ ძნელია პიესების წერა, განსაკუთრებით თანამედროვე თემებზე, მათი სირთულისა და სიახლის გამო, რადგან საერთოდ საბჭოთა კავშირში და მაშასადამე ჩვენშიც სულ სხვა, უჩვეულო სოციალისტური ცხოვრება მყარდებოდა თავისი ჯერ უნახავ მიმართულებით, სრულიად ახალის გაქანებისა და სულიერი სიძლიერის ადამიანთა გამოჩენით და ყოველივე ეს უფრო გაართულა საოცარმა, მთელ მსოფლიოს შემძვრელმა ომმა, ასე რომ დრამატურგიაც უთუოდ პირველ ხანებში ერთგვარმა შეცბუნებამ მოიცვა. იქ, სადაც თვით კორესპონდენტული მანერაც ვერ ასწრებდა ჩვენი, სასიქადულო წითელ არმიის გმირულ ქმედობათა უბრალო აღნუსხვასაც, დრამატურგიას სად შეეძლო თავისებური, ღრმა ანალიზი გაეკეთებინა მოვლენებისათვის და შეექმნა მონუმენტალური რამ დიდი ტილო. აკი ამიტომაც სიჩქარით კეთდებოდა სასცენო ნაწარმოები, თუმცა ისიც არ ითქმის, რომ თავიანთი მისია ხალხის გამხნევებისა და მებრძოლთა აღფრთოვანების საქმეში არ გაეკეთებინოს, მაგრამ, ცხადია, ეს ის არ იყო, რაც შეჰფეროდა ჩვენს დიდ ეპოქას, ჩვენს ბუმბერაზულ, საზღაპრო სამამულო ომს.

ამისათვის დრამატურგიამ ცოტათი ჩირგვში შეჰყო თავი. ეს ჩირგვი არის ისტორიზმი. აქ კი ბევრი სურნელებაა, ბევრი რომანტიკა, ბევრი... ეგზოტიკაც: კოსტიუმები, სასახლეები, რიტუალები, ყველა ეს თვალთათვის მომხიბვლელია, მაყურებლის ერთგვარად გამტაცებელი და...: თეატრის სალაროს გამსუყებელი. ეს უსათუოდ ლამაზი, თეატრალური ამბავი იყო და აქეთ გაეშურნენ ჩვენი დრამატურგები და თეატრის მესვეურები.

ოთხმოცი პროცენტი მაინც ჩვენს მიმდინარე სეზონში ისტორიულ პიესებს უკავია.

ჩვენი წარსულის გაშუქება, იმ წარსულისა, სადაც სამშობლოსათვის ბევრი თავდადებაა, ბევრი გმირობა, ერთგულება, და ხალხის სულიერი სიმტკიცის იშვიათი მაგალითები, დიალაც მეტად საპატიო საქმეა, მაგრამ ჩვენი დღევანდელი დღე, დღევანდელი საქართველო, რომელმაც ამდენი სასახელო ადამიანი მისცა მთელს კავშირს და მის საამაყო წითელ არმიას, ისეთი ადამიანები, რომელთაც უკვე მინიჭებული აქვს სასიქადულო სახელწოდება საბჭოთა კავშირის გმირისა, ისეთი სარდლები, ოფიცრობა და რიგითი წითელარმიელები, რომელთაც თავი იჩინეს თავიანთი გამჭრიახობით, საზრისიანი გაბედულებით, შეუდრეკლობით და დიდის პატრიოტიზმით და ერთგულებით სამშობლოსა და ბელადისადმი, ყოველივე ეს განა არ არის დიდი შთამაგონებელი პოეტისათვის, რომელსაც დრამატურგის კალამი უპყრია ხელში?

ან და ზურგში: ჩვენი დედები, დები, მეუღლეები და მოზარდი თაობა, ან ხანდაზმული ვაჟკაცები, რომლებიც გასაცვიფრებელ უნარს იჩენენ ყველანი თავთავიანთ დარგში, რომ ფრონტს მისცენ ყოველგვარი შესაძლებლობა საბოლოო გამარჯვებისა. ეს არ არის აღმაფრთოვანებელი და გამომწვევი მხატვრული მაღალ-პატრიოტული შემოქმედებისა?

და მაშ რა გვიშლის?

იქნებ გვაქვს რამ სასაყვედურო თეატრებთან დრამატურგებს თუ თეატრებს დრამატურგებთან?

ვერ დავფარავთ: ეს საყვედურები ჯერ კიდევ გაისმის. თეატრები ჩივიან „პიესები არ გვაქვს, რა დავდგათო. პიესებს ჩვენ ხომ არ დავწერთო“, დრამატურგები გვიძახით: „პიესები გვაქვს, მაგრამ არ გვიდგამთ და თუ დადგით, სწორედ თქვენა სწერთ ჩვენს პიესებს და ჩვენ ველარ გვიცვნია ჩვენი ნაწარმოები. ვინ არის ავტორი: დრამატურგი თუ დამდგმელი რეჟისორი; აფიშაზე ჩვენი გვარია გამოცხადებული და თუ პიესა ჩაფლავდა, თუნდაც თეატრის მიერ შესწორებულ-შეკეთებული, ავტორის ბრალია, თუ კარგად დაგვირგვინდა მისი საქმე, მაშინ—თეატრის, რადგან თეატრი გაიძახის: „ჩვენ რომ არ დავხმარებოდით თვით დრამის გაკეთებაში, ისე არაფერი არ გამოვიდოდა“.

მართალია ასეთი ფრაზები არა ახალია, ძველია, მაგრამ ამ ძველის გადანაშთი დღესაც ხმაურობს.

ფაქტიურად თეატრებს თითქო ვერ დავემდურებით. მაგ., წრეულს როდესაც მათ გეგმებს გადაათვალიერებთ, ნახავთ, რომ არ დარჩენილა საქართველოში ცოტაოდნათ მაინც თვალსაჩინო დრამატურგი, რომ თეატრს მისი პიესა თუ პიესები არ ჰქონდეს შეძენილი, ან ხელშეკრულება დადებული და ეს არამც თუ მარტო დრამატურგებთან, არამედ ისეთ მეტად საპატიო და თვალსაჩინო მწერლებთანაც კი, რომელთაც აქამდე დრამატურგიული კალამი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელში არც კი აუღია.

ეს მშვენიერია და მისასალმებელი. ასე რომ ამ მხრივ საქმე კარგად არის. თეატრს დიდი ნაბიჯი გადაუდგამს მწერალთა შესაგებებლად.

დრამატურგებს მაინც არ ეტყობა კმაყოფილება.

რა არის ეს? უბრალო კაპრიზი? ავადმყოფური თავმოყვარეობა?

ზოგი დრამატურგი ამბობს: „პიესა მივიტანე, მოიწონეს, მომამზადეს, პრემიერაც გამოაცხადეს და შემდეგ მოიხსნა. მოხსნის შემდეგ უმაღლესმა ორგანოებმა პიესა ხელ-ახლა გადასინჯეს, მოიწონეს და დაუბრუნეს თეატრს დასადგმელად. თეატრმა კი აღარ დადგა“.

როგორია ეს? ცხადია, დიდად ილახება ავტორის სახელი და თეატრსაც არ ჩაეთვლება აქტივში ასეთი საქციელი.

ასეთი მაგალითები კიდევ არის. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ჯანსაღი ატმოსფერო ჯერ კიდევ არ არსებობს დრამატურგიის გარშემო.

მაგრამ მე პირადად ვიტყვი: რაც იყო, იყო, საყვედურებსა და ერთი მეორის კილვას უნდა დავეთხოვოთ, ამის დრო არასოდეს არ უნდა იყოს და ახლა მით უფრო სრულიად უმართებულოა.

ეხლა დაძაბული, ხელ-გადაკაპიწებული მუშაობის დროა. ამას ყველანი ვგრძნობთ დრამატურგიის გარშემო, მაგრამ აქამდე როგორღაც ეს ყველაფერი არ იყო ერთად თავმოყრილი და გამოთქმული.

ეხლა კი, ამ უახლოეს ხანებში რამდენიმე თათბირი ჩატარდა ქ. თბილისში თეატრსა და დრამატურგიის საკითხების გარშემო პასუხისმგებელ ამხანაგთა თანდასწრებით. ბევრი რამ ითქვა საგულისხმო და გეგმიანი.

მათ უნდა ცხოვრებაში გატარება და დრამატურგიაც უფრო ცოცხლად დაიძვრის წინ, გამარჯვებისაკენ.

მთავარია ის, რომ დრამატურგები უთუოდ დიდსა და მეტ ყურადღებას მიაქცევენ თანამედროვე თემატიკას. მეტ ყურადღებას მიაქცევენ თავიანთი ნაწარმოების ხარისხს—ენობრივ, მხატვრულ მხარეს. ადგილობრივ სარეპერტუარო კომიტეტის განხილვის შემდეგ მიღებული პიესა სავალდებულოა ყველა თეატრისათვის, რომ დადგას უცვლელად და უკვე დადგენილის ტექსტით და სცენებით. თეატრმა, რეჟისურამ თავისი მშვენიერი საქმე—ბრწყინვალე სპექტაკლი — უნდა ააშენოს ამ დადგენილ შინაარსსა და სიტყვიერ მასალაზე. სხვაგვარი, დრამატურგიული ხელყოფა კი მათ ამიერიდან უნდა მიატოვონ.

ამ მოსაზრებას, საბედნიეროდ, არ გამოუწვევია დიდი კამათი ხსენებულ თათბირებზე.

ამითი უსათუოდ ცნობილ შეხლა-შემოხლას თეატრსა და დრამატურგებს შორის ბოლო მოეღება. მაგრამ ეს არ არის, რასაკვირველია, გარანტია იმისა, რომ ჩვენს შემოქმედებას სტიმულს მისცემს მხოლოდ სარეპერტუარო კომისიის დაარსება.

აქ სტიმულის მომცემი ისევ და ისევ ცხოვრებაა. ცხოვრება მდიდარი, რთული და ამჟამად დრამატიული თავით თვისით.

ეს უკვე ჩვენ დრამატურგებზეა დამოკიდებული თუ როგორ მოვახერხებთ ამ უხვი მოსავლის ათვისებას.

(„ლიტ. და ხელ.“ გვ. მე-2)

ლენინურ-სტალინური კომკავშირის ოცდახუთი წელი

ნული ბიბლიოთეკა

> „რა ბედნიერებაა, იყო ახალგაზრდა ამ ქვეყნად და ჭაბუკური ღიმილით ხვდებოდე მზის ამოსვლას, მდინარეთა ადიდებას გაზაფხულზე, კომკავშირული გზნებით აფუძნებდე ახალ ცხოვრებას, კომკავშირელის ძალღონით და ენერგიით მონაწილეობდე საერთო ბრძოლაში ბნელეთის შავი ძალებისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის“
>
> მაქსიმ გორკი

ახალგაზრდა შემოქმედნი

საქართველოს სახელმწიფო გალერეიაში გამართულ ახალგაზრდა მხატვართა სურათების გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სამხატვრო აკადემიის მიერ აღზრდილმა მხატვრებმა.

როგორც საგამოფენო დარბაზი მოწმობს, ახალგაზრდობა საბჭოთა სინამდვილის ასახვას დასწაფებია. ახალგაზრდა მხატვრები თანაბრად ეტანებიან როგორც ყოფა-ცხოვრების გამომხატველ თემებს, ისე პორტრეტს, სოფლის ჟანრს და სამამულო ომის სიუჟეტს. გამოფენა აშკარავებს ახალგაზრდობის დაუცხრომელ ნაფიქრს და ნააზრევს, მის დიდ სიყვარულს მშობელი ქვეყნის ბუნებისა და ადამიანებისადმი.

გამოფენაზე წარმოდგენილ ახალგაზრდა დაზგური ფერწერის ოსტატთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ქ. ბალდავაძის ტილოები. როგორც სიცხით დაოსებული მწყურვალე ადამიანი ხარბად დაეწაფება ცივ წყალს, ისე ძლიერად გიზიდავენ ამ მხატვრის სურათები. ფერმეტყველებაში მისი ასაკისა და გამოცდილებისათვის ის ძნელად მისაღწევ ეფექტს იძლევა. მხატვარს თავისი ნაზი და ფერებით უხვი პალიტრისათვის სიუჟეტიც მოხდენილად შეურჩევია. დიდის მომხიბვლელობით და სილამაზით მადლმოსილნი გვიცქერიან მისი ტილოებიდან მანდილოსნები. ბალდავაძეს უმთავრესად ფერწერის ამოცანები აინტერესებენ. ის უმთავრესად ფერთა შერჩევით და დალაგებით არის გატაცებული. სასურველია, მომავალში ახალგაზრდა მხატვარმა თავი დააღწიოს ცნობილი ოსტატების ნაწარმოებთა რეპროდუქციების წაბაძვით წერას და თავისი ფუნჯი წარმართოს საკუთარი ორიგინალური სტილის მქონე ტილოების შესაქმნელად.

დიდი ინტერესის აღმძვრელთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს ორ მეტად ნიჭიერ ახალგაზრდას—ფ. ლაპიაშვილს და ქ. სუმბათაშვილს.

გამოფენაზე სუმბათაშვილს წარმოდგენილი აქვს დიდი შემოქმედებითი გაქანებით შესრულებული სერვანტესის „დონ-კიხოტის“ დადგმის ესკიზები. ახალგაზრდა მხატვარი ცდილობს თეატრალური დეკორატიული ხელოვნების დარგში შეითვისოს ფერწერის პრინციპები და ამით გაიწაფოს თეატრალურ მხატვრობაში.

ფ. ლაპიაშვილის ტილო „ფრონტიდან დაბრუნება“ მაყურებელს იზიდავს როგორც საინტერესო კომპოზიციით, ისე სასიამოვნო ფერადოვნებით. მუქ-ნაცრისფერ და მოვერცხლისფერო ღრუბლებით მოფენილ ცის ფონზე გაშლილია სოფელ მცხეთის ერთ-ერთი კოლმეურნეობა, სადაც სტახანოველი ქალები ფრონტიდან დაბრუნებულ ორ ძმას ხვდებიან. ეს სასიხარულო ამბავი მხატვარს მოთხრობილი აქვს ცოცხალ მზიურ და სიამის მომგვრელ კოლორიტში.

ქ. სუმბათაშვილს და ფ. ლაპიაშვილს ეკუთვნის მარჯანიშვილის სახელობის თეატრში „დავით აღმაშენებლის“ დასადგმელად დამზადებული საინტერესოდ და თავისებურად შესრულებული ესკიზები.



კავკასიის მთებში. გრავიურა ლინოლეუმზე ვ. ბელეცკაიასი.

მხატვარ გ. გაბუნიას პატარა ზომის ზეთის ფერებით შესრულებული პეიზაჟები აღბეჭდილია მხატვრული გემოვნებით. გაბუნიას კარგად ეხერხება რომელიმე ერთი ფერადოვანი გამის ჰარმონიის მიღწევა. საინტერესოა მისი ერთი ლანდშაფტი, შესრულებული მოვარდისფრო სადაფისა და მოვერცხლისფრო-ცისფერ ტონებში, რაც შეეხება თვით ფერწერის ტექნიკას, ფერთა წყობას, ზოგ შემთხვევაში მხატვარი ზომიერებას აჭარბებს.

ლ. მალალაშვილის პორტრეტები ცხადჰყოფენ, რომ მხატვარს ბევრი რამ უსწავლია და შეუძენია იმპრესიონისტული სკოლისაგან. მისი ფუნჯი გამოირჩევა ექსპრესიულობით.

მხატვარ ბელეცკაიას გრაფიკულ ნამუშევართა შორის აღსანიშნავია კარგად შესრულებული „ყურძნის კრეფა“.

ვეიკ გრიგორიანი უმთავრესად აღმოსავლური ზღაპრების თემატიკას ეცნობა და ცდილობს ეს მოტივები დაზგური ფერწერის ხერხით გამოხატოს, რაც უთუოდ ძნელი ამბავია, მაგრამ მხატვარს ეს ამოცანა, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, დაძლეული აქვს.

მოსესოვი წინა გამოფენებზე უკეთ იყო წარმოდგენილი. მხატვარი ერთგვარ ზომიერებას უნდა იჩენდეს, როცა კლასიკური მემკვიდრეობით სარგებლობს და როცა თავისი ინდივიდუალური სტილი უნდა ეძიოს და მოიპოვოს.

დ. გუნიას ესკიზები შემსრულებლის შინაგან კულტურას ამჟღავნებენ. ტიპაჟში სჩანს ეპოქისა და მისი სტილის დაკვირვებული ცოდნა.

ნ. ფოფხაძე გამოფენაში მონაწილეობს გრაფიკულ ნამუშევართა საკმაო რიცხვით. მათ შორის აღსანიშნავია „წითელარმიელის გართობა“ და პეიზაჟი „ზობოყვათი“. მხატვარს დიდი შრომისმოყვარეობა ახასიათებს, რაც მისი წარმატების თავდებია.

ბერუჩევი უკვე დაუფლებია გრაფიკულ ტექნიკას. სასურველია, მხატვარმა მეტი სითამამე და გაბედულება გამოიჩინოს თავისებურების მოსაპოვებლად.

მხატვარ გ. ნადირაძეს განსაკუთრებით ქართული სტილის ორნამენტი ეხერხება. სახვითი ხელოვნების ამ დარგში იგი საკმაოდ დასტატებულია.

დ. გაბაშვილი საიმედო და სერიოზული გრაფიკოსია. გრაფიკულ ტექნიკაში ის მომწიფებული ოსტატის ძალას ამჟღავნებს. მის მიერ წარმოდგენილი ნახატები ცხადჰყოფენ მხატვრის დაუცხრომელ ძიებას, პლაკატის შესრულებას დ. გაბაშვილი თავისებური ჟანრით მიუდგა და გასცდა შტამპსა და სტანდარტს.

არუთინოვას დიდი სიყვარულით და წადილით შესრულებული პატარა ზომის პეიზაჟები სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენენ.

ნ. და თ. კანდელაკების ფერადოვანი გრაფიკა არ არის მოკლებული მხატვრულ ნიჭს. ორი პორტრეტი, შესრულებული პასტელის ფერებით, საინტერესო ცდას წარმოადგენს.

მოქანდაკეს თ. შარაშიძის წარმოდგენილი აქვს ბარელიეფების მთელი სერია, ფერადი მასით შესრულებულ ქანდაკებაში სტილიურობის შეტანა მეტად სახიფათო ამბავია, მაგრამ მოქანდაკემ ეს ამოცანა ჯეროვნად გადასწყვიტა.

ი. მდივანს წარმოდგენილი აქვს თოჯინების თეატრისათვის საინტერესოდ შესრულებული მაკეტი და კოსტიუმები.

გამოფენაში მონაწილე ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვართა შორის გამოირჩევიან ვაშაძე, ვეფხვაძე, მგელაძე, ლებანიძე, საყვარელიძე, მალალდაძე, მამალაძე, გორდელაძე, ბერძენიშვილი, დაუშვილი, იანქოშვილი, დეკორატორი ჟორდანია, მოქანდაკეები კრაწაშვილი და ოქროპირიძე.

საჭიროა, მხატვართა კავშირი განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს ახალგაზრდობას, მოაწყოს ახალგაზრდა მხატვრების ინდივიდუალური და ჯგუფური გამოფენები და ხელი შეუწყოს მათი ნიჭისა და ოსტატობის ზრდას.

ნინო გუდიაშვილი



ახალგაზრდა მსახიობები. **ნოდარ ჩხეიძე** და **მ. თბილელი** „კრწანისის გმირებში“.
მხატ. კ. კიკნაძის ნახატი ნატურიდან 23 ოქტომბერს, სპექტაკლზე.

კომკავშირელის სახე საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზიაში

კომკავშირი! რა სიამაყის გრძნობის აღმძვრელია ეს სიტყვა. კომკავშირის აკვანი დაარწია ბოლშევიკების პარტიამ. კომკავშირი აღზარდეს **ლენინმა** და **სტალინმა**. კომკავშირის ურყევი სული, მისი დაუცხრომელი და მძაფრი ნებისყოფა, მისი შეუპოვრობა და სიმამაცე გამოიწრთო ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის ბრძმედში. საძულველ მტრებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებაში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გაიზარდა და დავაჟკაცდა კომკავშირი.

საბჭოთა მწერლების ცხოვრებაში კომკავშირმა დიდი როლი ითამაშა. კომკავშირთან არის დაკავშირებული მრავალი მათგანის სიჭაბუკე, მათი როგორც მწერლისა და ტრიბუნის შემოქმედებითი დაბადება. მაიაკოვსკი და ბაგრიცკი, სვეტლოვი და ჟაროვი, ბეზიმენსკი და უტკინი, მაშაშვილი, კალაძე, აბაშიძე, კაჭახიძე და სხვები იყვნენ სოციალიზმის ძლევამოსილი არმიის საბრძოლო სალაშქრო სიმღერების პირველი წამომწყებნი. ლენინურ-სტალინური კომკავშირის სულის ძლიერება აყალიბებდა მათი შეგრძნებისა და შემეცნების ძალას.

მართებულად სწერდა მაიაკოვსკი: „არ შემიძლია შევაკავო თრთოლვა ჩემი გულისა, როცა მომესმის სიტყვა კომკავშირი — მას მივეცი და ვუძღვენი მთელი ჩემი პოეზია“. მართლაც, მაიაკოვსკის ლირიკას ენიჭება რაღაც განსაკუთრებული შთაგონების ძალა, როცა იგი კომკავშირს უმღერის. ლენინის გარდაცვალების წელს დაწერილ თავის „კომკავშირულ სიმღერაში“ მაიაკოვსკი წარმოგვისახავს კომკავშირელებს ლენინის უკვდავი საქმის გამგრძელებელ უდრეკ კოჰორტად. პოეტი ახასიათებს კომკავშირელებს როგორც ბოლშევიკური პარტიის ღირსეულ შვილებს.

მრავალ თავის ლექსში მაიაკოვსკი მოუწოდებს კომკავშირელებს — განამტკიცონ სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება, ურყევად დადგნენ რესპუბლიკის სადარაჯოზე გაცოფებული თეთრგვარდიული ბრბოების შესამუსრავად, ავარჯიშონ თავიანთი კუნთები მიმდინარე და მომავალი ბრძოლებისათვის. მიესალმება რა მთავრობის მიერ კომკავშირის წითელი დროშით დაჯილდოებას, მაიაკოვსკი ერთ თავის ლექსში წარმოგვისახავს იმ კომკავშირელ გმირებს, რომლებიც მამაცურად დაეცნენ ბრძოლაში სამშობლოს და ლენინ-სტალინის იდეებისათვის.

აღფრთოვანებითა და უსაზღვრო აღტაცებით გამსჭვალული ლექსით მიმართავს ე. ბაგრიცკი კომკავშირელებს, რომლებმაც სამოქალაქო ომის წლებში ახალგაზრდობას ვაჟკაცობისა და თავგანწირვის მაგალითი უჩვენეს.

პოეტის გამჭრიახი თვალით ბაგრიცკი ხედავს, რომ ბოლშევიკური აღზრდის სკოლამ, რომელიც კომკავშირმა გაიარა სამოქალაქო ომის ფრონტებზე და სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, მოგვცა შესანიშნავი ნაყოფი, რომ ამ სკოლამ კომკავშირელნი გახადა ახალი ცხოვრების ჭეშმარიტ მშენებლებად, მ. სვეტლოვი თავის „კომკავშირელში“, „ჩვენს სიმღერასა“ და სხვა ლექსებში კომკავშირელთა თაობას წარმოგვიდგენს აწმყოს მშენებელ, დიდი მერმისის თაობად. იგი უმღერის კომკავშირის უთვალავ რიგებს:

„კომკავშირელი—ამ სიტყვას ვმღერი
და ვიმეორებ დიდი ხანია,
იგი პარტიის არის ნათესი
და ოქროს ხორბლის უხვი ხვავია“.

კომკავშირიდან გამოსული პოეტები ბეზიმენსკი, უტკინი და ჟაროვი თავიანთ ლექსებში ცხადჰყოფენ, თუ რა უძლიერეს ქმედით გრძნობას წარმოადგენს კომკავშირის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, რომელმაც იგი აღზარდა და გამოაწრთო. უტკინი იხსენებს ერთ თავის მეგობარ კომკავშირელს, რომელმაც თავი გასწირა სამშობლოსთვის. აღფრთოვანებულ ლექსს უძღვნის პოეტი გუსევი კომკავშირელ უზუმბეტოვს, რომელიც ვაჟკაცურად დაიღუპა სამშობლოსათვის ბრძოლაში. კომკავშირელ პოეტებს ნათლად აქვთ წარმოდგენილი, რომ კომკავშირი მათთვის იყო დიდი აღმზრდელობითი სკოლა, რომელმაც გააღვივა მათში სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა.

დაუვიწყარი სტრიქონები უძღვნეს ჩვენი სამშობლოს ფიზიკური და სულიერი ენერგიის დაუშრეტელ წყაროს — კომკავშირულ ახალგაზრდობას ნ. ტიხონოვმა, ნ. ასეევმა, ვერა ინბერმა. უკრაინელი პოეტი ხოსიურა ბალადაში „კომკავშირელი“ უმღერის მოუდრეკელი კომკავშირელის ვაჟკაცობას, — კომკავშირელის, რომელმაც იშვიათი სულგრძელობით გადაიტანა გამხეცებული მტრის მიერ მიყენებული წამება. უკრაინელი პოეტები მ. რილსკი, ლ. პერვომაისკი, პავლო ტიჩინა გვიხატავენ კომკავშირელთა შემოქმედებას ცხოვრების ყველა სფეროში და ამასთან წარმოგვიდგენენ მათ უდრეკი ნებისყოფის ახალგაზრდა ადამიანებად, რომელთაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ამაყად მიაქვთ წინ ლენინ-სტალინის დროშა.

ბელორუსმა პოეტებმა იანკა კუპალამ და იაკუბ კოლასმა დაგვიხატეს წარმტაცი სურათები იმ შემოქმედებითი მუშაობისა და დაძაბული ბრძოლისა, რომელსაც კომკავშირლები ეწეოდნენ, სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე.

ლენინურ-სტალინური კომკავშირისადმი განუსაზღვრელი სიყვარულით არის გამსჭვალული ალიო მაშაშვილის მთელი პოეტური შემოქმედება. კომკავშირის უძლეველი რწმენა სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილებაში, მისი ძლიერი სული ფრთებს ასხამდნენ მაშაშვილის პოეტურ ფანტაზიას, სიმკვეთრესა და ენერგიულობას აძლევდნენ მისი ლექსების დაუვიწყარ სტრიქონებს. გვესმის და განვიცდით კომკავშირელთა ძლევამოსილ სვლას მის შთაგონებულ ლექსში, „კომკავშირულ სიმღერაში“.

საქართველოს პოეტებისთვის ლენინურ-სტალინური კომკავშირის საბრძოლო და შრომითი სიმამაცე გადაიქცა შემოქმედების ცხოველმყოფელ წყაროდ. ირაკლი აბაშიძე თავის ბალადაში „კომკავშირელი“ გვიხატავს ბორის ძნელაძის მარად სახსოვარ სახეს.

კარლო კალაძე თავის „განთიადებში“, ილო მოსაშვილი „მარიამ დემჩენკოსა“ და „სალაშქრო სიმღერაში“, გრ. აბაშიძე თავის „გაზაფხულში“ ძერწენ სკულპტურულ სახეებს კომკავშირელებისას, რომლებსაც იერიში მიაქვთ ყოველგვარ დაბრკოლებათა გადასალახად, იმისათვის, რომ განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანონ თავიანთი სოციალისტური სამშობლო. სიმონ ჩიქოვანის ლექსები „უშგულის კომკავშირი“ და სვან კომკავშირელ ქალს“ ჩვენი კომკავშირული თაობის შრომითი გმირობის ამსახველი ისტორიული ძეგლები არიან. სიმონ ჩიქოვანი წინასწარ სჭვრეტს, რომ მისი ლექსების გმირი ქალი მყისვე ჩადგება მებრძოლთა რიგებში, როგორც კი სამშობლოს მრისხანე საფრთხე დაემუქრება.

ფაშისტ ბარბაროსებთან გაჩაღებულმა დიდმა სამამულო ომმა პირველ დღეებშივე გვიჩვენა, თუ რა მოუდრეკელ ძალას წარმოადგენენ ლენინურ-სტალინური კომკავშირის ერთგული შვილები, ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაზე. ისინი სჩადიან უკვდავ საგმირო საქმეებს, რომლებიც თავიანთი სიდიადით ჩრდილავენ ლეგენდარულ თქმულებებს ადამიანის სულიერ სიმტკიცეზე. საბჭოთა ხალხის მეხსიერებიდან არასოდეს არ აღმოიფხვრებიან კომკავშირელების კაპიტან გასტელოს, ივანე სოსნოვსკის, ზოია კოსმოდემიანსკაიას, საშა ჩეკალინის, ოლეგ კოშევოის, ალ. მატროსოვის შარავანდედით მოსილი სახელები. საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ოჯახის ყველა თვალსაჩინო პოეტის შთამგონებელი გახდა ამ საარაკო ახალგაზრდა ადამიანთა თავგანწირვა სამშობლოსათვის. მათზე დაიწერა და იწერება ინტიმიური ლირიკული ლექსები და ეპიური პოეტური ნაწარმოებები. 28 პანფილოველი გვარდიელი აღიბეჭდა ნ. ტიხონოვის შესანიშნავ პოემაში, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კომკავშირელი პანფილოველი კუჟებერგენოვი, რომელიც უშიშრად, თავისი სხეულით გადაეღობა ფაშისტურ ტანკს. მ. ალიგერის პოემა „ზოია“, დოლმატოვსკის ლექსები „კომკავშირელი“, „ქალიშვილი“, მ. სვეტლოვის საფრონტო ბალადები“ კომკავშირელ მფრინავ კუზმინზე, მ. გოლოდნის ლექსები „კრასნოდონის მამაც კომკავშირელებზე“ და კ. სიმონოვის ბალადა „მემიზნე ტოლიაკოვზე“,—საბჭოთა პოეტების ყველა ეს ლექსი ცხადჰყოფს, რომ თემა კომკავშირელთა გმირობისა ორგანიულად შევიდა პოეტების შემოქმედებაში.

ჭეშმარიტი პოეტური გრძნობით, ღრმა ემოციურობით გამოირჩევიან ქართველი პოეტების ის ლექსები, რომელნიც ავტორებმა მიუძღვნეს სამამულო ომის მონაწილე კომკავშირელ გმირებს, ქართველი ხალხის სასიქადულო შვილებს—შალამბერიძეს, პირტახიას, წურწუმიას, დიასამიძეს, ლურსმანაშვილს, გახოკიძეს, ადამიას, კანკავას და ბევრ სხვას. ისინი უკვდავი საქმეებით მარად იცოცხლებენ ჩვენი საუკეთესო პოეტების—გალაქტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ალ. აბაშელის, ალიო მაშაშვილის, ი. გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, ილო მოსაშვილის, რ. გვეტაძის, გრიგოლ ცეცხლაძის, ბობოხიძის, ი. ნონეშვილის, მარიკა მიქელაძის და მრავალი სხვა ქართველი პოეტის იშვიათი გულწრფელობით და სიყვარულით დაწერილ ლექსებში.

მიუხედავად ამისა, ჩვენს ქართველ პოეტებს ჯერ კიდევ მოუხდელი აქვთ თავიანთი ვალი ლენინ-სტალინის ეპოქის ახალი თაობის წინაშე. კომკავშირის გასაოცარი საბრძოლო და შრომითი სიმამაცე მომავალში მისცემს მათ დაუშრეტელ საზრდოს მაღალი პოეტური ქმნილებათათვის.

ლენინურ-სტალინური კომკავშირის 25 წლისთავი შეხვდა სწორედ იმ მომენტს, როცა ჩვენი სახელოვანი არმია დაუცხრომლად და შეუპოვრად მიერეკება ფაშისტურ ურჩხულებს დასავლეთისაკენ. შორს არ არის ფაშიზმის სრული განადგურების დღე, ჩვენი სამშობლოს მიწა-წყლის სრული განთავისუფლების დღე გერმანელ ფაშისტ ურდოებისაგან. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ეს დიადი დღე ჩვენი ქვეყნისათვის მოაქვს ლენინურ-სტალინური კომკავშირის მიერ აღზრდილ და გამოწრთვნილ ახალგაზრდა ადამიანს. სახელი და დიდება მას!

ტატიანა შაროევა

პასუხად ახალგაზრდა მწერლებს

ი. გრიშაშვილი

1.

რა იყო ჩემი სიჭაბუკე
ძველ სათვალავში?
დედა სხვას გაჰყვა, მამა უკვე
იწვა საფლავში.

და დედამიწის ზედაპირზე
ვგმობდი ბატონთა,
ვინ ამასხამდა წინდის ჩხირზე, —
ჩხირი არ მქონდა!

და ვიზრდებოდი დაჩაგრული
ყასბის მორებთან,
და მუხამბაზებს ჩემი გული
იმეორებდა.

ქეიფი. ჩხუბი. ო, ლოთები
გადაჭარბებით
და ჯვარისმამის შოთებივით
ქალის წარბები.

ორთაჭალური მწვანე მდელო
ღვინით ირწყოდა
და ტოლუმბაში სადღეგრძელოს
ასე იტყოდა:

„ესეც ბიჭებო, გაუმარჯოს
იმ ხეს, რომელიც
წყლის პირასა სდგას, წყალს
სდარაჯობს
წყალის მდომელი,

მაგრამ ვის ესმის ღალადისი
დაღვრილი ხმებად,—
ხე წყლის პირას სდგას და შტო მისი
უწყალოდ ხმება!“

2.

ასეთი იყო ის წარსული
მე რომ ვიხილე.
შემოვიჭერი ხმით სპარსულით
ლექსის მეხილე.

მაგრამ ვიდოდი მტკიცე რწმენით,
ნაბიჯით მძიმედ
და შევხაროდი „დედა-ენით“
მომავლის იმედს.

ვამბობდი: ნეტა, ცა პირქუში
არა მფარავდეს,
რომ თმა სამშობლოს სამსახურში
გაჭაღარავდეს;

რომ შევუმშრალო კიდით-კიდე
ხალხს თვალი სველი,
ვთესო მარცვალი ჯერედ კიდევ
დაუთესველი.

აღსრულდა, ზეცის ლურჯი ქარგა
წითლად გაბრწყინდა,
მოუსავლეთში დაიკარგა
ყველა არწმინდა.

და ჩემს ბაირაღს, ნაქებს ოდით,
მტერი ვერ ხრიდა,
ვეღირსე, რასაც შევნატროდი,
სკოლის მერხიდან.

მე ავამღერე ტკბილ შაირად
ქართლის ყანები,
მე ყველა მართალს ერთნაირად
ვეთაყვანები.

ახ, მეგობრებო, რაღა გითხრათ
მე თვალსაჩინრად,
მიყვარდა კითხვა და ამ კითხვამ
გადამარჩინა.

3.

და ბოლოს ვიხდი პაწაწინა
თბილელი ბიჭი,
თუ კადნიერად წარვდგი წინა
სუსტი ნაბიჯი.

თქვენ ჰკრებთ ყვავილებს,
გულგაშლილებს,
დაუკაწრავად...
მაშ სიტყვას გეტყვით
გრიშაშვილურს,—
ახ, უკაცრავად,—

ო, ნუმც გექნებათ გულს იარა,
შური, სიფლიდე,
და გამარჯვებებს წლით კი არა,
წუთით ითვლიდეთ.

გიყვარდეთ ლექსის გულიდან თქმა,
როგორც წესია,
ბედნიერების წმინდა აღთქმა
მხოლოდ ლექსია.

ნუ ჩქარობთ: ცეცხლში გაატარეთ
სიტყვა ყოველი,
რითმას და წყობას შეუდარეთ
აზრი ცხოველი.

ღვინოს დიდიხნით აჩერებენ
ჭაჭას და ლექზე,
თქვენც უნდა დიდხანს მოიჩრდილოთ
თვითეულ ლექსზე.

ცას მიაშტერდით, გადაჰყურეთ
ბაღებს ლელიანს,
რასაც ის გეტყვით ყურს საყურედ
გასაყრელია.

ყველგან, სადაც კი ხმა ესობა
სჩანს სიტყვის სიბრძნე,
არ ვარგა, ძმებო, მოლექსობა
თუ ეს არ იგრძნე.

აი, სჭირდება ჩვენს ქვეყანას
ხმალი ლესული,
აი, ახლა გვსურს თქვენი სიტყვა
ამოლექსული,

უნდა გადიქცეს ყოველი თქმა
ცოცხალ ტყვიებად, —
შურისძიება, ბელადმა სთქვა,
შურისძიება!

—

აი, ეს იყო ყველაფერი
რაც უნდა მეთქვა,—
დაუყურადეთ ჩვენი ერის
გულების ფეთქვას.

ხეს ცვარი უნდა, ვაზს—სასხლავი
და თქვენც ამ პწკარებს
ვიცი მიიღებთ, მერცხალსავით
გაუღებთ კარებს.

ოლეგ კოშევოი

ალექსანდრე საჯაია

წამებისაგან ჭაღარავდებოდა თექვსმეტი წლის
ოლეგ კოშევოი. სიკვდილის წინ იგი მღეროდა.

მხრებზე უკვდავების ნათელი გენთება;
შავ სახრჩობელასთან ამაყად დგები.
ერთი ნაბიჯიც და უფრო გათეთრდება
ქარში ღრუბელივით გაშლილი თმები.

საყვარელ სიმღერას მღერი უშიშარი,
ხმების ჟრუანტელი ირხევა ველად.
და მთებზე, კორდებზე წუხილის ნიშანი,
მძიმედ დაძენძილი ნისლები ღელავს.

შენ ტკივილს და კვნესას არა ხარ ჩვეული,
მონობას სიმღერით სიკვდილი გირჩევნია.

დასჭექე, დასჭექე ჰანგები რჩეული,
ოლეგ კოშევოი, პატარა ბიჭო!

შენ ხომ სიმღერისთვის იყავ გაჩენილი,
ახლაც ლექსის შხეფებს ვარსკვლავებს ესვრი,
და სახრჩობელაზე ფეთქავს ჩანჩქერივით
თვით შენი სიცოცხლე—მგზნებარე ლექსი.

წამში გაიარე ასი წლის სავალი,
ამაყი ფიქრებით გათეთრდი ბავშვი.
დაკოდილ გულიდან სიმები მრავალი
დაშლილ-დაწყვეტილი წკრიალებს ქარში.

ჩვენ გულში ჩავმარხეთ შენი ხმის იერი,
ჩვენც კვნესას კაცური სიკვდილი გვიჯობს.
იმღერე, სიმღერა ყველაზე ძლიერი,
ოლეგ კოშევოი, პატარა ბიჭო!

ახალგაზრდა მხატვრები

იაკობ ნიკოლაძე

(სახალხო მოქანდაკე).

საქართველოს საბჭოთა მხატვრების გალერეაში მოეწყო ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა. მხატვართა კავშირის სექციები ამ გამოფენაზე წარმოდგენილ ნაწარმოებთა მიხედვით გადასწყვეტენ კავშირში ახალგაზრდა შემოქმედთა წევრებად და წევრობის კანდიდატებად მიღების საკითხს.

გამოფენის ყოველი მნახველი დიდად გაახარა წარმოდგენილ ნაწარმოებთა მხატვრულმა ღირსებამ. აშკარად აკადემიის დამთავრების შემდეგაც სჩანს, რომ ახალგაზრდებს მხატვრებს გულმოდგინედ და მუყაითად უმუშავნიათ და დამოუკიდებლად განუვითარებიათ თავიანთი ტექნიკა.

იმ ახალგაზრდებს, რომელთაც უმაღლესი სამხატვრო განათლება აქვთ მიღებული, სამხატვრო აკადემიის არსებობის 20 წლის მანძილზე პირველად მიეცათ შესაძლებლობა, ასე სრული სახითა და დიდი მაშტაბით წარმომდგარიყვნენ საზოგადოების წინაშე. თუმცა სასწავლო მუშაობისა და სტუდენტთა წარმატების ამსახველი გამოფენა აკადემიაში ყოველ წელს ეწყობა, მაგრამ ეს გამოფენები ვერა ჰქმნიან მთლიან შთაბეჭდილებას, რაკი სახელოსნოებისა და ფაკულტეტების მიხედვით არიან გაბნეულნი. თანაც ამ გამოფენებს მნახველთა მეტად მცირე რიცხვი ათვალიერებს, თუმცა მოსაწვევი ბარათები ეგზავნებათ მწერალთა, კომპოზიტორთა და ხუროთმოძღვართა კავშირებს, თეატრებს, სახელოვნო და სამეცნიერო დაწესებულებებს.

საბჭოთა მხატვრების კავშირში მოწყობილი გამოფენა აშკარად გვიჩვენებს, მხატვრული შემოქმედების რაოდენ ძალას მატებს აკადემია ახალგაზრდობას.

ახალგაზრდობას გამოფენილი აქვს ნამუშევრები სახვითი ხელოვნების ყოველი დარგიდან. სუსტად არის წარმოდგენილი ქანდაკება (მხოლოდ ორი ნაწარმოებია). და ეს მოხდა იმიტომ, რომ მხატვართა კავშირი არ დაეხმარა ახალგაზრდა მოქანდაკეებს, გადაეტანათ თავიანთი ნამუშევარი გალერეაში. გამოფენამ ცხადჰყო, რომ წარმოდგენილ ნაწარმოებთა ბევრი ავტორი ღირსია წარდგეს თავისი შემოქმედებით საზოგადოების წინაშე და მიღებულ იქნას საბჭოთა მხატვრების კავშირის წევრად.

ამჟამად სექციები იხილავენ მასალებს მხატვართა კავშირში ახალგაზრდა მხატვრების წევრებად და წევრობის კანდიდატებად მიღების შესახებ. არ მინდა ამჟამად, სანამ სექციებს მუშაობა არ დაუმთავრებიათ, გამოვყო რომელიმე ახალგაზრდა, მაგრამ შეიძლება აშკარად ითქვას, რომ მათ შორის არიან სავსებით მომწიფებული მხატვრები .მათი მიღება კავშირში შესაძლებელია საკანდიდატო სტაჟის გარეშე, რადგან ზოგმა მათგანმა ბევრად გაუსწრო წინ მხატვართა კავშირის ზოგიერთ ნამდვილ წევრს.

კარგი იქნებოდა, რომ ოფიციალური განხილვის შემდეგ ორი-სამი დღით მაინც გაიხსნას საჯაროდ გამოფენა და სპეციალურ სტენდზე აღინიშნოს განხილვის შედეგები.

(„ლიტ. და ხელ.“ გვ. მე-3)

საოპერო სპექტაკლი ახალგაზრდობის ძალებით

კ. ძიძიგური

საქართველოს საბჭოთა ხელოვნების სარბიელზე გამოსული ახალგაზრდობა აღფრთოვანებული წითელი არმიის ძლევამოსილი ლაშქრობით ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXV წლისთავს აღნიშნავს ახალი მიღწევებით. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის ახალგაზრდობამ საოპერო სცენის გამოცდილ ოსტატთა დახმარებით განახორციელა ჯუზეპე ვერდის ოპერა „რიგოლეტოს“ ახალი დადგმა. რეჟისორმა პეტრე ნიჟარაძემ, დირიჟორმა მ. ბუხბინდერმა და მხატვარმა ი. ასკურავამ საინტერესო საოპერო სპექტაკლი შექმნეს. სპექტაკლში სცენის დამსახურებულ ოსტატთა გვერდით მთავარ როლებში გამოვიდნენ ახალგაზრდა მომღერლები.

ახალგაზრდობის მიერ განხორციელებული ეს საინტერესო სპექტაკლი ჩვენს მღელვარე დღეებს ეხმაურება ოპერაში გამოხატული თავისუფლების მოყვარე მებრძოლი სულით. რეჟისორმა პეტრე ნიჟარაძემ კარგად გაიგო და გახსნა დიდი ფრანგი რომანტიკოსის ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებით შთაგონებული ვერდის ოპერის დედაარსი.

ოპერაში ხაზგასმულია მტარვალ მოძალადეთა მორალური დაცემა და გათახსირება, ხალხის მაღალი და ფაქიზი ზნეობის შეურყევლობა.

ახალ დადგმაში რიგოლეტო თავისუფლების მოყვარე ხალხის მებრძოლი სულის გამომხატველად არის გაგებული. ეს სპექტაკლი გაისმის, როგორც მგზნებარე მოწოდება მტარვალობის შესამუსრავად. სპექტაკლი შთაგვაგონებს ადამიანურ ღირსებათა პატივისცემის ჰუმანიურ გრძნობას და გვიქადაგებს სიყვარულის მაღალ და ფაქიზ მორალს.

ჯილდას პასუხსაგებ როლში გამოვიდა ახალგაზრდა მომღერალი ელ. ქაიტაშვილი. მან უმანკოების, სიფაქიზისა და ათუთი გრძნობიერების მომხიბლავი სახე შექმნა. გვჯერა, რომ მომღერალი განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდება სიმღერის სიზუსტეს და დეტონაციის ნაკლს გულმოდგინე და ბეჯითი მეცადინეობით თავიდან აიცილებს.

საოპერო თეატრის სცენაზე პირველად ვნახეთ მომღერალი ვლადიმერ ნაჭყეპია, რომელმაც გრაფ მონტერონეს როლი შეასრულა. როგორც საინტერესო სახის შექმნის თვალსაზრისით, ისე საიმედო ვოკალური მონაცემების დიდ სცენაზე გამომჟღავნებით და ლამაზი აბგერებით, ვლადიმერ ნაჭყეპიამ წარმატება მოიპოვა. მით უმეტეს მართებს მომღერალს დღენიადაგ მეცადინეობა, რათა ალაგალაგ მის სიმღერას დაგუბებული ხმოვანება ხელს არ უშლიდეს.

ახალგაზრდობის ამ საოპერო სპექტაკლს ფასი დასდო და მისი წარმატება დიდად გაზარდა რიგოლეტოს პარტიაში რესპუბლიკის სახალხო არტისტის პეტრე ამირანაშვილის ნიჭისა და ოსტატობის სრული ძალითა და ბრწყინვალებით გამოჩენამ. მომღერლის კეთილხმოვანი, ლამაზ-ტემბრიანი ხმა თანაბრად კარგად ჟღერდა ყველა რეგისტრში. პეტრე ამირანაშვილის რეპერტუარში რიგოლეტო ერთ-ერთ ყველაზე უფრო სრულყოფილ და შომხიბვლელ სახედ უნდა ჩაითვალოს. პეტრე ამირანაშვილი რიგოლეტოს გასახიერებაში ზომიერების გრძნობას არ ღალატობს მაშინ, როცა იგი უდარდელ ცხოვრებას ეწევა მეფის სასახლეში, არც მაშინ, როდესაც საშინლად აღელვებული განმარტოვდება თავის შეურაცყოფილ და დამცირებულ ქალიშვილთან ერთად, არც მაშინ, როდესაც მტარვალზე შურისძიების მტკიცე გადაწყვეტილებას მიიღებს. განსაკუთრებით დიდი ძალა გამოიჩინა მომღერალმა მესამე მოქმედებაში. და აქ მსახიობის წარმატება უფრო დიდი იქნებოდა, რომ რეჟისორს უკეთ გადაეჭრა მესამე მოქმედების ცნობილი არიის „კურტიზანების“ სცენა გუნდისა და რიგოლეტოს შემსრულებლის შეთანხმოვანებით.

სპექტაკლის წარმატებას ხელი შეუწყო გამოცდილი მომღერლის ვ. ხამაშურიძის სპარაფუჩილის როლში გამოსვლამ. სპექტაკლს ძალას მატებდა მომღერლების სტეპანიანის, ელიოზიშვილის, ჭუმბურიძის და მაძაცაშვილის მონაწილეობა.

ახალგაზრდა მხატვარმა ი. ასკურავამ ამ სპექტაკლის გაფორმებით გამოამჟღავნა კარგი გემოვნება, საოპერო ხელოვნების თავისებურებათა ცოდნა და სპექტაკლისათვის მომგებიანი, მაყურებელთა მიმზიდველი დეკორატიული მორთულობის შექმნისაკენ მისწრაფება. ამ მხრივ წარმატებით არის გადაჭრილი ოპერის მეორე და მეოთხე აქტი. ამასვე ვერ ვიტყვით მესამე მოქმედების დეკორატიული გაფორმების შესახებ. ჰერცოგის სასახლის გამოხატვაში უნდა ასახულიყო თავაშვებული დროსტარებისა და უდარდელობის სულისკვეთება, რის გამოხატვასაც არ შეჰფერის მუქი, ნახევრად ჩაბნელებული ტონი კედლის მხატვრობისა.

დირიჟორს მიხეილ ბუხბინდერს სერიოზული მუშაობა გაუწევია სპექტაკლის მუსიკალური მთლიანობის შესაქმნელად, მაგრამ ზოგიერთ სცენაში მის მიერ აღებულ ტემპს ვერ დავეთანხმებით. ამ მხრივ ძალა მოაკლდა ჯილდასა და ჰერცოგის სცენას მეორე მოქმედებაში, ხოლო მეოთხე მოქმედების ცნობილი კვარტეტი სუსტი შესრულებით სრულიად დაიკარგა.

ორკესტრი და გუნდი, აშკარად უნდა ითქვას, დიდად სცოდავდნენ. ზოგიერთი ინსტრუმენტის ჟღერა მოწაფის ვარჯიშობას უფრო მოგვაგონებდა, ვიდრე არტისტის შესრულებას. ხოლო გუნდი ანსამბლურ შესრულებას არღვევდა. ერთიცა და მეორეც ძალას აკლებდნენ ღირსშესანიშნავ სპექტაკლს, რომელმაც ახალგაზრდა, ნიჭიერი ძალების გამოჩენით და რიგოლეტოს როლში რესპუბლიკის სახალხო არტისტის პეტრე ამირანაშვილის წარმატებული გამოსვლით ცხოველი ინტერესი უნდა შეიტანოს მიმდინარე საოპერო სეზონში.

შაირი, ცეკვა და სიმღერა

(მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო დათვალიერება).

ახლახან დამთავრებულ მხატვრული თვითმოქმედი წრეების საქალაქო დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს დედა-ქალაქის წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა საგუნდო-საანსამბლო ჯგუფებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, მკითხველებმა, დამკვრელებმა და დრამატიულმა წრეებმა.

მიმდინარე თვეში რუსთაველის სახელობის თეატრში მოეწყო იმ კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონცერტი, რომელთაც თავი ისახელეს დათვალიერებაზე.

საღამო დაიწყო ელექტრო-დეპოს სასულე ორკესტრის გამოსვლით, რომელმაც საკმაო დახვეწილობით და მუსიკალობით შეასრულა ბოგოსლოვეცის „თამარის სიზმარი“ და გეორგის „ოქროს სიზმარი“. სასურველია, ორკესტრმა მეტი გემოვნება გამოიჩინოს შესასრულებელი მასალის შერჩევაში. „თამარის სიზმრად“ ან „ოქროს სიზმრად“ წოდებული ნაწარმოებები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან და ღირსეულ მასალას ორკესტრის ზრდისათვის.

ცეკავშირთან არსებულმა ანსამბლმა ლოტბარ ვლადიმერ ბაბილუას ხელმძღვანელობით კარგად იმღერა „გურული შაირები“. ანსამბლი ჩინებულად დაუფლებია ჩონგურს და სიმღერაც ამ მომხიბლავი საკრავის ხმოვანებისათვის შეუხამებია.

გონებამახვილურად ჟღერს ფეხსაცმელის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ხმაურა ორკესტრი. სასულე საკრავთა იმიტაციით ანსამბლი ჰქმნის ჯაზის ხმოვანებას. შახკულოვმა კარგად შეასრულა სიმღერა „ჩემი აზერბაიჯანი“.

ტრამვაის და ტროლეიბუსების სამმართველოსთან არსებულმა მეფანდურეთა ანსამბლმა თედო თურქაძის ხელმძღვანელობით საინტერესო სიმღერები მოგვასმენინა. საერთოდ ეს ანსამბლი იმითაცაა მოსაწონი, რომ იგი ძველ სიმღერებს შეურყვნელად ასრულებს, თანაც თავის რეპერტუარს თანამედროვე ყოფის ამსახველ სიმღერებითაც ამდიდრებს. ანსამბლმა კარგად შეასრულა სათამაშო სიმღერა, მაგრამ მოცეკვავენი გლეხური ცეკვების გადმოცემისას ზომიერებას ვერ იცავდნენ. ამ ანსამბლმა ხალხურ ცეკვის შესრულებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სიწმინდეს და გემოვნებას.

№ ქარხანამ წარმოადგინა ჯაზ-ორკესტრი, რომელსაც ბაზაძე ხელმძღვანელობს. ჯაზმა, სამწუხაროდ, ვერ დასტოვა სასურველი შთაბეჭდილება, რადგან შესრულებული რეპერტუარი ძალზე მოისუსტებდა.

საზოგადოება ოვაციით შეეგება ესპანელ რესპუბლიკელთა ბავშვებს, რომელთაც ჩინებულად შეასრულეს ესპანური სიმღერები და ცეკვები („ტოლედო“, „ესპანიოლა“ და სხვ.).

თბილვაჭრობის მეჩონგურეთა ანსამბლი ავქ. მეგრელიძის ხელმძღვანელობით იმედს იძლევა, რომ მომავალში საინტერესო და მაღალმხატვრულ კოლექტივად ჩამოყალიბდება. ამის თავდებია წარმატებით შესრულებული „სიმღერა ბერიაზე“. მამაკაცის ჯგუფის გაძლიერებით ანსამბლი დიდად წაიწევს წინ.

დემინმა და კოშუბინმა კარგად შეასრულეს სხვადასხვა ცეკვა, ხოლო დუდნიკოვების ოჯახმა — პოპური უკრაინულ სიმღერებიდან და სხვა.

დათვალიერებაზე განსაკუთრებით კარგად გამოჩნდნენ პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული კოლექტივები. ეტყობა, ხელმძღვანელს მსახიობ გრ. კოსტავას ნაყოფიერად უმუშავნია. კლუბის სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი ნაწყვეტები აკაკის „პატარა კახიდან“ იმის მაუწყებელია, რომ კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობს, სწორი გზით მიდის და შემოქმედებისადმი სერიოზული დამოკიდებულების ჩვევებს ითვისებს.

იმავე კლუბის მეფანდურეთა ანსამბლი გიორგი ბუღაძის ხელმძღვანელობით ერთი სერიოზულ ანსამბლთაგანია ჩვენში. მის მიერ შესრულებული სიმფონიები წმინდა პროფესიონალურ შესრულებას უახლოვდება. საღამო დამთავრდა პლეხანოვის კლუბთან არსებული ბავშვთა ცეკვის ანსამბლის ბრწყინვალე გამოსვლით.

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი გარემოება: თვითმოქმედ გუნდებს, ისევე, როგორც ზოგიერთ ჩვენ პროფესიონალურ ანსამბლებს სჭირიათ რეპერტუარის გამდიდრება. ხშირი შემთხვევაა, როდესაც ერთსა და იმავე სიმღერას მოისმენთ სხვადასხვა სახელწოდებით და ტექსტით. ამას შეუძლია საგრძნობი ზიანი მიაყენოს ჩვენს მდიდარ მუსიკალურ ფოლკლორს. საქმე ის არის, რომ ხალხს გამოუძებნია გარკვეული სიტყვები შესაფერის მელოდიისათვის და ამით არიან უკვდავყოფილი ჩვენი მუსიკალური ფოლკლორის ღირსშესანიშნავი ნიმუშები: „ლილე“, „მუმლი მუხასა“, „ჩაკრულო“, „მრავალჟამიერი“, „კუჩხა ბედნიერა“, „ქვედრულა ადიდებულა“, „იერიში“, თანამედროვე სიმღერები დიდ ბელადზე, მეგრული „სიმღერა ბერიაზე“, „სიმღერა რუსთაველზე“ და სხვ. ამ გარკვეული სასიმღერო ტექსტისათვის შერჩეულია შესაფერი მელოდია. როცა მათ ერთმანეთს დააცილებთ, ჰარმონიულობა ირღვევა. ამ ბოლო ხანებში ზოგიერთი ანსამბლის ხელმძღვანელი ხალხში შემონახული სიმღერის, ახალი მელოდიის გამოძებნით ან შექმნით როდი ცდილობს თავისი რეპერტუარის შევსებას, — იგი ძველ სიმღერას შეუცვლის ტექსტს და ისე გამოიტანს საჯაროდ. ეს გარემოება სიმღერას უკარგავს სახეს, უკარგავს ხასიათს და ისტორიულ მნიშვნელობას.

დათვალიერებამ ცხადი გახადა, რომ ჩვენი ხელოვნების პროფესიონალი ოსტატები უფრო მეტ დახმარებას უნდა უწევდნენ თვითმოქმედ წრეებს. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და მწერალთა კავშირის დრამატიულ სექციას მართებთ უფრო მეტად იზრუნონ მცირე ფორმის დრამატურგიის განვითარებისათვის. თვითმოქმედი წრეები სრულიადაც არ არიან უზრუნველყოფილი ნამდვილად მხატვრული და სადღეისო რეპერტუარით.

თვითმოქმედი წრეების საქალაქო დათვალიერებამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო ჩვენი ხალხის სულიერი განწყობილება და მისი სულისკვეთება. სამამულო ომის მკაცრ ვითარებაში საბჭოთა ხელოვნება, ხალხის ხელოვნება არ მოდუნებულა, — იგი უფრო მეტი ძალით, უფრო მახვილად აჟღერდა, რათა მხნეობა, სამშობლოსადმი სიყვარულის თავდადების რწმენა და გამარჯვების იმედი ჩაუნერგოს ვერაგი მტრის წინააღმდეგ ერთპირად ამდგარ ხალხს.

თ. ი.

საქართველოს ფილარმონიის თემატიური კონცერტები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია 1943—1944 წლის სეზონში აწყობს მთელ რიგ თემატიურ კონცერტებს, რომელთა მიზანია გააძლიეროს მსმენელში პატრიოტული გრძნობები. ასე, მაგალითად, მოეწყობა კონცერტი, რომელიც ასახავს სამშობლოსადმი სიყვარულს ქართულ პოეზიასა და მუსიკაში, კონცერტი თემაზე—პატრიოტული მოტივები რუსულ პოეზიასა და მუსიკაში. გაიმართება აგრეთვე მუსიკალური საღამოები შემდეგ თემებზე: „საქართველო რუს პოეტებისა და კომპოზიტორების შემოქმედებაში“, „ქალის სახე ქართულ მუსიკასა და პოეზიაში“, „დიდი სამამულო ომის პოეზია და მუსიკა“, შემდეგ განზრახულია ცნობილი მომღერლებისა და არტისტების (სოხაძის, ნაკაშიძის, გოსტენინას, ანდღულაძის, ამირანაშვილის, ბადრიძის, ინაშვილის, კიპარენკო—დამანსკის, ვ. ანჯაფარიძის, ვ. გოძიაშვილის, პ. კობახიძის და სხვების) შემოქმედებითი მიმოხილვის საღამოები.

საქ. ფილარმონიას ამ სეზონში განზრახულ კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან და ლენინგრადიდან მოწვეული ჰყავს საუკეთესო ძალები — ნოვიკოვა, იაუნზე, დავიდოვა, დირიჟორები რახლინი, მელიქ-ფაშაევი, გაუკი, შემსრულებელნი—გილელსი, გოლდშტეინი, ფლიერი, ოისტრახი და სხვები.

ძველი თბილისის უბნის ქალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ავალიანი

ქართული ფერწერის ცნობილი ოსტატი, „მცხეთობისა“ და სხვა მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოების ავტორი პროფ. მოსე თოიძე ამჟამად მუშაობს სურათზე „ძველი თბილისის უბნის ქალები წითელ არმიისათვის ამზადებენ საჩუქრებს“.

მხატვარს მიზნად დაუსახავს — ამ სურათში მიაღწიოს საქართველოს მზიურობის სრულ შთაბეჭდილებას და იმავე დროს მაყურებელს აგრძნობინოს ის ხალისი და გატაცება, რაც ახასიათებს ფრონტისათვის საჩუქრების დამზადებით გართულ თბილისელ ქალებს. რამდენადაც ორივე ამოცანა საინტერესოა წმინდა ფერწერითი თვალსაზრისით, იმდენად რთულია და უთუოდ მოითხოვს ხანგრძლივ, დაძაბულ მუშაობას. მხატვრის ასეთი ამოცანა ცხადჰყოფს, რომ მასში არა თუ არ შენელებულა დიდი შემოქმედებითი წვა, არამედ ახალგაზრდული გატაცებით ზრუნავს იგი თავისი ოსტატობის გაღრმავებასა და გამრავალფეროვანებაზე.

ასეთი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, შემოქმედებისადმი, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა, ახალგაზრდული გატაცება და ენერგიულობა მოსე თოიძეს, როგორც მხატვარს, უქმნიან ნაყოფიერი მუშაობის ხელსაყრელ პირობებს.

ზემოაღნიშნული სურათის—ძველი თბილისის უბნის ქალები წითელარმიისათვის ამზადებენ საჩუქრებს—წინა პლანზე ნახევარ წრიულად სხედან ძველი თბილისის ერთ-ერთი უბნის ფერადკაბიანი და ჭრელ თავსაფარიანი ქალები. ფიგურების ამ მარტივ კომპოზიციას ამრავალფეროვანებს და შიმზიდველსა ჰხდის ცალკეული ფიგურის ტორსისა, თავისა თუ მკლავების მოხდენილი დამახასიათებელი მოძრაობა. იმავე დროს სურათში სიცოცხლეს შეაქვს ოსტატურად განაწილებულ „ლაქებს“ — ერთმანეთთან გემოვნებით შეხამებული ფიგურების ტანსაცმელის ლაღ ფერებს. რა თქმა უნდა, ფიგურებზე მუშაობა მხატვარს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია. ამიტომ არის, რომ, მიუხედავად საერთო სასიამოვნო შთაბეჭდილებისა, ზოგი ფიგურის მოძრაობა თუ ტანსაცმელის ფერი დისონანსად იჭრება საერთო გამაში.

სურათის მეორე პლანი უფრო გამორკვეულად, თითქმის დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. მეორე პლანზე მოსჩანს მთა ძველი ციხის ნანგრევებით და ბურჯებით. მთის აწვანებული ფერდობის ქვემო ნაწილში-კი მოსჩანან ძველი თბილისის უბნის სახლები. შეიძლება ითქვას, რამდენადაც ციხის ნანგრევები მხატვარს მთელი თავისი სიდიადით და მრავალფეროვნებით გადმოუცია, იმდენად სახლებს ნაწილობრივ ერფეროვნება ეტყობა. შეიძლება ეს გარემოება მხატვრისათვის წინასწარ გათვალისწინებული და გამართლებულია იმით, რომ სახლები, როგორც პეიზაჟის ერთ-ერთი შემადგენელი და არა მთავარი ნაწილი, წინ არ იჭრებოდნენ, თვალს არა სჭრიდნენ მაყურებელს და უმთავრესის ათვისებაში ხელს არ უშლიდნენ. შეიძლება ოსტატმა მუშაობის პროცესში, სურათის ცალკეული ელემენტების უფრო მეტად გამორკვევის დროს თვით სახლების არქიტექტონიკაში შეიტანოს ცვლილება.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ ძველი თბილისის უბნის შენობებისათვის დამახასიათებელია მეტი ასიმეტრიულობა, მინიატურულობა, ფერების მეტი სიუხვე და ჩრდილ-განათების მძაფრი კონტრასტი.

ძველი თბილისის უბნის შენობებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი ნაწილობრივ გადმოცემული აქვს მოსე თოიძეს თავის ეტიუდებში, რომლებიც დაუწერია ძველი თბილისის მიდამოებში, დიდ ტილოზე მუშაობის დაწყებამდე. ამ ეტიუდებში მკაფიოდ იგრძნობა მხატვრის მისწრაფება საგნების ფაქტურის ღრმად შეგრძნობისა და ოსტატურად გადმოცემისა.

თუ ზემოაღნიშნულ ნაწარმოებს არ მივიღებთ მხედველობაში, უკანასკნელ პერიოდში მოსე თოიძე თითქმის მთლიანად გადავიდა ისტორიულ თემატიკაზე.

მრავალი წლის მანძილზე ოსტატობის გამომუშავებისა, საკუთარი მხატვრული პრინციპების განმტკიცებისა და საქართველოს ისტორიის მასალების კრიტიკულად ათვისების შემდეგ მხატვარს გადაწყვეტილი აქვს ასახოს საქართველოს მდიდარი გმირული წარსული, ამეტყველოს მისი პატრიოტული მოტივები ფერებში და წინაპართა გმირული მაგალითებით უფრო მეტად განამტკიცოს სტალინის ეპოქის ადამიანში — საბჭოთა მებრძოლში —გმირული სული და სამშობლოსათვის თავდადების უკეთილშობილესი გრძნობა.

საქართველოს მხატვართა მომავალი გამოფენისთვის, რომელიც მოეწყობა 1944 წლის თებერვალში, მოსე თოიძეს დამზადებული აქვს ორი ესკიზი. ერთია „ერეკლე მეფის თათბირი საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხებზე“, მეორე—„ჰალარა კავკასიონის დაცვა“. ეს უკანასკნელი ესკიზი ეხება ქართველების მონაწილეობას საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში. ხსენებული ესკიზების მიხედვით მხატვარი ამზადებს სურათებს მომავალი გამოფენისათვის.

ქართველი ჯარისკაცი

გიორგი ნატროშვილი

იმ დროს სუხინიჩში ვიყავ. გარეუბანში, ერთ პატარა სახლში დავბინავდით. ქალაქში დიდძალმა ჯარმა მოიყარა თავი. ჯერ ისევ დილა იყო, როცა სახლის კარები გაიღო და ვიღაც ზორბად ჩასხმულმა ვაჟკაცმა შემოალაჯა. მისმა ძალ-ღონით და ვაჟკაცობით სავსე ახოვანებამ ყველას უნებურად თვალი მოგვტაცა. ვეება, დაბლა ჩამოშვებული ულვაშები და ხშირი წარბები საოცრად ჰხატავდნენ მის სახეს. მხარ-ბეჭიც განიერი ჰქონდა. იქნებოდა ასე შუახანს მიღწეული. საფეთქლები უკვე გაჭაღარავებოდა. ქამარზე ხანჯალივით ეკიდა ტყვიის ქარქაშში ჩაგებული ხიშტი.

როგორც შემოვიდა, გადმოგვხედა თავისი ძალზე გულუბრყვილო თვალებით. ასეთი თვალები აქვთ ღონემოჭარბებულ სოფლელებს. მერე საერთო სალამი მოგვცა უხმოდ თავის დაქნევით. ნახევრად ავტომატური თოფი კუთხეში მიაყუდა, საბარგო ჩანთა მოიხსნა და შიგ ფათური დაიწყო.

ასეთები იყვნენ რეპინის ზაპოროჟელები. რატომღაც ვიფიქრე, ალბათ უკრაინელი იქნება-მეთქი.

უცნობი კვლავ თავის ჩანთაში ფათურობდა, რაღაცას ეძებდა. ჯერ უხმარი თბილი ბამბის ფეხსახვევები ამოიღო, ვაზნების მწვანედ დაობებული მჭიდეები ამოალაგა. მერე ტილოს ნაჭერში შეხვეული გრანატის საპირისწამლეები და ქაღალდები ამოიღო და ფანჯარის თაროზე დააწყო.

ფანჯარასთან ვიჯექ და რაღაც ფიქრებში, ვრყავ წასული. უნებურად დავხედე გალაქულ, კუთხეებ-შემოცვეთილ კონვერტს. მასზე უსწორ-მასწორო რუსული ასოებით ეწერა: საქართველო, ხაშურის რაიონი, ვაყის სასოფლო საბჭო, სოფელი ნაბახტევი. მართა გიორგაძეს.

უფრო ახლოს მივიწიე, მხარზე ხელი დავადე და გამარჯობა-მეთქი ქართულად ვუთხარი.

თავი აიღო და განცვიფრებულმა შემომხედა, მერე თანდათან ღიმილით გაუბრწყინდა თვალები. დასავლეთის ფრონტის იმ უბანზე ქართველები ძალიან ცოტანი იყვნენ. ამიტომ ჩვენი შეხვედრა თითქმის მთელს მოვლენას წარმოადგენდა ორივესათვის.

გავიცანით ერთმანეთი. ნაბახტეველი ლაზარე გიორგაძე აღმოჩნდა. საქართველო გავიხსენეთ, ვახსენეთ ორივესათვის ნაცნობი სოფლები და ქალაქები. მერე მან თავისი ვენახი და მიწაში ჩაფლული ქვევრები შემახარბა. დიდხანს ვისაუბრეთ. ლაზარე ისევ ჩანთას დაუბრუნდა, სუფთა ქაღალდი ამოიღო, სამშობლოში წერილის წერას შეუდგა.

როცა ფრონტზე წერილსა ჰგზავნი, დარწმუნებული უნდა იყო, რომ მას მთელი ესკადრონი თუ არა, ორი ათეული მეომარი მაინც წაიკითხავს. ამ მხრივ აქ საიდუმლოება არ არსებობს. ქაღალდის ნაფლეთი რომ შორიდან, ათასი კილომეტრებით დაშორებულ ადგილიდან ორიოდე თბილ სიტყვას და პატარა სიხარულს მოიტანს, იმას მარტო შენ კი არა, შენი თანამებრძოლებიც შეჰხარიან. იქ ჭირიც ერთია და ლხინიც. იქ ბიჭები სიკვდილსაც ძმურად იყოფენ და სიხარულსაც. ერთი ოჯახია და იმიტომ. არ გამკვირებია, როცა ლაზარემ წერილის წერა დაამთავრა, მე გადმომცა წასაკითხად: აბა ერთი ნახეო...

მეც ჩავათვალიერე ის წერილი. „პირველად მრავალ მოკითხვას მოგახსენებ ნახვის ნატვრით და შორიდან ხელის ჩამორთმევით“. ამას მოსდევდა დაუსრულებელი „ახლა მომიკითხე“ და „ახლა მომიკითხე“. მერე სწერდა, დაჭრილი ვიყავ, მხარს ქვემოთ მომხვდა ტყვია და ბეჭში გაიარა, ჭრილობა მომირჩა და ახლა ისევ ფრონტზე ვარო. ვენახის ლობე დიდი მსხლის ძირში ჩატეხილი იყო, ისე ხომ არ მიანებეთ თავი და პირუტყვი ხომ არ დაიარება ვენახშიო, მარანში ტომრით რომ ხუთი ფუთი ხორბალია შენახული, არ დაჰფქვათ, შეწამლულია და ზიანი არა მოგიტანოთ-რაო. მერე ვიღაც თავის მეზობელზე სწერდა, საწყალი მოჰშორდა წუთისოფელსაო, ერთი კვირაა, რაც მოჰკლეს გერმანელებმა, თვალები ჩემს მკლავზე დახუჭა და საფლავიც ჩემი ხელით გაუთხარე. იმის დედას შვილის ამბავი გააგებინეთო.

წერილი უკანვე გადავეცი. წერილმა ამ კაცის სული თვალწინ გადამიშალა. ასეთია ჯარისკაცი. მისი გული მუდამ სავსეა რაღაც ბუნებრივი და ამოუცნობელი ოპტიმიზმით. ცხადია, მან იცის, რომ ლოგიკურად სავსებით შესაძლებელია ერთ დღეს ისიც მოჰკლან, მაგრამ არა სჯერა, რომ ეს დღეს მოხდება, ვერც ხვალ მოჰკლავენ, ვერც ზეგ. საერთოდ რაღაც ინსტიქტით არა სჯერა ეს. მარტო სხვებზე ეწვის იმას გული. რამდენი უნდა ეფიქრა თავის ოჯახზე, რომ სადღაც მარანში მიგდებული ტომარა გახსენებოდა. გაახსენდა და შეშფოთდა, არ მოიწამლონო. ეს ვენახი მაინც რაღამ მოაგონა.

— კაცო, აქედან ამ სიშორეზე ვენახი რამ გაგახსენა? ვკითხე: — იცი, სადა ვართ? ფეხით რომ წახვიდე, მემრის ამ დროს ჯერ მისული არ იქნები.

— რომ იცოდე, რა ვენახია, მაგრე არ მეტყოდი ეჰ, გაუხმეს იმას ძირკვები,—ალერსით სთქვა მან. სთქვა ისე, როგორც ლამაზ ქალს ეტყვიან ხოლმე, თვალები გაგიშავდესო.—ზიარებასავით ღვინო მოჰყავს, ზიარების მადლმა!

— ძალიან გყვარებია, გეტყობა.

— გყვარებიაო? ჩაფი ვერ წამაქცევდა.

შევხედე. არა, ამას ერთი ჩაფი ღვინო მართლაც ვერ წააქცევს. ამას ღვინო კი არა, გამდნარი ტყვია ვერ მოერევა.

საუბარი ისევ ომს გადასწვდა და ლაზარეს ვთხოვე შენი დაჭრის ამბავი მითხარი-მეთქი. იმისი ნაამბობი ჩავიწერე და ეხლა მინდა თქვენ გადმოგცეთ.

* * *

— ფრონტზე რო მიგვიყვანეს,—დაიწყო ლაზარემ, — იმ დღეს სიწყნარე იყო. მეგონა, ჯერ არ მისულვართ-მეთქიდა გამიკვირდა, როცა მითხრეს, გერმანელები აი იქავე, ერთი თოფის სროლის მანძილზე არიანო. მშვიდობიანად დაღამდა ის დღე. ღამე მიწურიდან რომ გამოველ, ქვეყანას სავსე მთვარე დაჰკაშკაშებდა. ჩიტივით შეიფრთხიალა გულმა, ისე ლამაზი იყო ის ტიალი. სწორედ ასე გადმოდგება ხოლმე მთვარე მტკვარ-გაღმა მთებიდან და გადმოჰხედავს ხეობას. მოშრიალე ფოთლეში მთვარის სხივები ჩახვეულიყვნენ. ფრინველების რაღაც ხმაშეწყობილი ყივილი ისმოდა. ბიჭები ამბობდნენ, ეს ფრინველები კი არა, გერმანელი მზვერავები არიან და ერთმანეთს ნიშანს აძლევენო. არ ვიცი, დანამდვილებით ვერაფერს გეტყვი. მეც იმაზე ბევრი აღარ მიფიქრია. ჩემი თვალი ახლა ვეება ხანძრებმა წაიღეს. ღამით უფრო სჩანს ომი. თურმე ბნელაში უფრო კარგად იგებს კაცი, სად არის ფრონტი, ვიდრე დღისით... ფერადი ზოლებით დაქსელნათ ცა და მიწა მანათობელ ტყვიებს. ტყეებისა და სოფლების თავზე წამდაუწუმ მაშხალები ინთებოდნენ. მთელი ღამე გაკაშკაშებული იყო. ვინ მოსთვლის რა ფერის სინათლე არ ენთო! აინთებოდა ხოლმე ცისარტყელასავით და მაღლობზე თეთრი ეკლესია გამოჩნდებოდა. ხან ძალზე განათდებოდა ხეების ჩრდილში, თითქოს გათენდაო. ხანაც ისევ ჩამობნელდებოდა. ჩვენს პირდაპირ გერმანელების პოზიცია იყო. ეს ისე, აზრით, სხვისი ნათქვამით ვიცოდი. ისე კი იმათი სანგრები მე არ შემიმჩნევია.

ერთხელ, გათენებისას, ჩვენმა ზარბაზნებმა ძალიან მაგარი სროლა ასტეხეს. მიწა ზანზარებდა. გერმანელების პოზიცია ცეცხლის კორიანტელში გაეხვია. მერე ვნახე ის ადგილი. საცა ყუმბარა დაცემულიყო, სანგრები საფლავებად გადაექცია. მაგრამ ჯერ წინ ნუ გავიქცევით, ამაზე მერე გეტყვი. როცა ზარბაზნებმა დაამთავრეს თავისი საქმე, ქვეითი ჯარის შეტევა დაიწყო.

შეტევისათვის მზად ვიყავით. ბრძანებას ყოველ წუთს ველოდით. მერე ის იყო ლეიტენანტის ოფლიან შუბლსა და უძილობით ჩაწითლებულ თვალებს მოვკარ თვალი. რაღაც ყრუდ გაისმა მისი ხმა—წინ სამშობლოსათვისო. მივატოვეთ საფრები, წამოვხტით და გავიქეცით წინ. ფეხქვეშ მიწას ცეცხლი ეკიდება. ერთმა ტყვიამფრქვევმა ისე ამოგვიღო ნიშანში, რომ მეტი გზა არ იყო, უნდა ჩავწოლილიყავით. ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდა ტყვია, სეტყვასავით. მერე არ ვიცი, როგორ, მაგრამ ის ტყვიამფრქვევი ჩვენებმა ჩააჩუმეს. სულ ახლოს მივედით, გერმანელების მავთულხლართები ალაგ-ალაგ დაჭრილი იყო, ზოგან დაფლეთილი და ბოძებიანად ამოთხრილი. მავთულ-ხლართებს იქით დანაღმული მინდორი იყო და ცერად ჩამწკრივებული პატარა სანგრები, სადაც ორ-ორი, სამ-სამი გერმანელი იჯდა ავტომატებით და ხელის ტყვიამფრქვევებით.

აი სწორეთ ამ დროს წამოიშალნენ გერმანელები. ხიშტებზე მივიდა საქმე. კვეხნაში ნუ ჩამომართმევ, შიში აღარ მახსოვდა. თვალი მარტო მტერს ეძებდა, მათი სისხლი მწყუროდა. გულს სხვა არაფერი სტკიოდა, გონებას სხვა არაფერი ახსოვდა. ერთი მხრებში აწურული ჯარისკაცი წამოხტა სანგრიდან, მოვუქნიე ხიშტი, მუცელში ჩავეცი და უკანვე, მიწაშივე ჩავაგდე. საითაც მიიხედავდი, დაჭრილ-დახოცილნი ეყარნენ. მეორეც ჩქარა მოვკალ. ოფლში გავიწურე. მესამეს კონდახი გავარტყი საფეთქელში. დაეცა, ორჯერ ულმობლოდ გაიქნია ფეხი და სული დალია. მეოთხე ისე გათავდა, რომ შემოკვრა ვერ მოვასწარი: სანამ ხიშტს მოვიქნევდი, ის უკვე მიწაზე დაემხო. მომაკვდავივით გადაყარა განზე ხელები. მწოლარეს მაინც ხიშტი ვაძგერე გულში, დაიყვირა ამ ცრუ მკვდარმა და მაშინ მართლა მოკვდა...

გერმანელები უკვე მირბოდნენ. ირეოდნენ ადამიანები. კვამლი და ბუღი იდგა. სროლისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. ასე მეგონა, მარტო ამ პატარა სანგრებში იყვნენ და მეტი სიმაგრე აქ აღარ არის-მეთქი. თურმე სანგრებს უკან ძელმიწურები ყოფილა. ამ ხელად უფრო ხშირი სროლა დაიწყეს. დაზგის ტყვიამფრქვევებიდან ისროდნენ. მივუახლოვდი, გრანატა მოვამზადე. როგორც კი ვესროლე, ჯერ ხელი არც კი ჩამომეღო, მარცხენა მხარში მომხვდა ტყვია. ამეწვა, წავბარბაცდი და წავიქეცი.

თვალთ დამიბნელდა, გონება დავკარგე.

ცნობაზე რომ მოვედი, ისევ სროლის ხმა გავიგონე. ეხლა შორს ისროდნენ. ეტყობოდა, ჩვენები წინ წასულიყვნენ. ჩემს ახლოს ნაღმები ცვიოდა. ხეს ზოგს ძირიანად ჰგლეჯდნენ, ზოგსაც შუა წელში გადაჰხლეჩდნენ ხოლმე. წამოდგომა მოვინდომე. მერე ვიფიქრე, ცოტასაც მოვიცდი, იქნება ის ცეცხლი ჩაწყნარდეს-მეთქი. ამ ფიქრში რომ ვიყავი, ერთი ნაღმი ჩემს ახლოს დაეცა, აფეთქდა და... მეტი აღარაფერი ვიცი, ცნობა ისევ დავკარგე.

არ ვიცი, რამდენმა ხანმა გაიარა, სანამ ხელმეორედ გონზე მოვიდოდი. მართალი გითხრა, ძალიან გამიკვირდა: საფლავში ვიწექ. გულზე მიწა მეყარა. გერმანელების ნაღმს ასე ცოცხლად დავემარხე. პირიც მიწითა მქონდა სავსე. ზედ ბელტები ისე მეყარა, ვერ გავნძრეულვიყავ. ჰაი დედასა, მაშ ეგ არის, გათავდა; ბიჭო; ყველაფერი—გავიფიქრე. — აქედან ვეღარ უნდა ავდგე-მეთქი... წამოვიწიე. ისე მაგრად გამკრა ტკივილმა მხარში, რომ ისევ გული წამივიდა. თვალებზე რაღაც ბურანი მომადგა. ჩამობნელდა. აღარც ძილი იყო და აღარც ღვიძილი. თითქოს სიზმარში ვიყავი. მომეჩვენა, რომ სადღაც მინდორზე ვიყავ, ტირიფონასავით გადაჰჭიმულიყო ის ტიალი. მივდივარ მარტოდ-მარტო. სულიერის ჭაჭანება არსად არის. მეჩვენება, თითქოს მინდვრის ბოლოს სასაფლაოა. საფლავებს მწვანე ბალახი მოსდებოდათ, ქვებსაც შამბი შემოჰხვეოდა. ნელი ნიავი დაქროდა, ბიბინებდა ბალახი სასაფლაოზე. მძიმე გუნება შემექნა. ბოღმა ლოდივით დამაწვა გულზე, თითქო უნდა დაახრჩოსო. მივედი ერთ საფლავზე მიწას ფეხი დავკარ და ჩავძახე:

— ადე, ვიქეიფოთ-მეთქი!

ჰეი, რა არ მოეჩვენება ხოლმე კაცს!

მიწა ჯერ შეინძრა, ბალახმა დაიშრიალა, საფლავმა პირი გააღო და მიწიდან ხმა გავიგონე:

— შენ თითონ ჩამოდი, ჩემი სტუმარი იყავ, სუფრა გაშლილი მაქვს...

აქ გაწყდა ხმა. რა ვიცი, ეშმაკმა წაიღოს, სიზმარი იყო თუ ბოდვა და ბურანი. საფლავიც სადღაც დაიკარგა, ისევ მინდორში ვეგდე. თვალი გავახილე, ვარაყიანი არყის ხეები დავინახე. ვეება ნაძვებს ერთმანეთში ტოტები გადაეხლართნათ, თითქო ჩაჰხუტებიან ერთმანეთსაო. ბორჯომის ხეობაში გივლია, ძმობილო? იმ წუთში აი სწორედ ის მომაგონდა...

მერე ისევ მსუბუქმა ბურუსმა წამიღო. იმ ბურუსში ჯერ ბუნდოვნად, მერე უფრო ნათლად სამი ცხენოსანი გამოჩნდა, პირდაპირ ჩემსკენ მოდიოდნენ.

აი მოახლოვდნენ კიდეც, ლაპარაკის ხმაც მესმის. შუაში რომ კაცი მოდის, იმას პირდაპირ ჩემზე მოჰყავს ცხენი. მეორე ცხენოსანმა ქართულად დაუძახა:

— რას შვრები, კაცო, ხომ ხედავ, კაცი დაჭრილია, ცხენი არ შეაყენო ზედ, არ მოჰკლა, ცოდვაა!

— არა, უნდა მოვკლა; — უთხრა შუათანამ: — ამან რომ გაუთავებელი ღვინის სმა იცის და არაფრის ზომა არ იცის, ეს აქამდისაც არ იყო სიცოცხლის ღირსი.

— არა, ჩემო კარგო, — შეეკამათა ისევ მეორე, დაწინაურდა, უნაგირიდან გადმოიღუნა, ალვირში ხელი უტაცა და ცხენი გაუჩერა:—მაგის სიკვდილს არ დაგანებებ. ვინ მოგცა უფლება, აუკრძალო მაგას, ხანდახან ჩვენი სადღეგრძელო დალიოს...

ვფიქრობ, ნეტავ ვინ იქნებიან-მეთქი.

თურმე ჩვენი პოლკის სანიტრები ყოფილან. რუსები იყვნენ, აბა, ქართულად როგორ ილაპარაკებდნენ. არც ცხენები ჰყავანდათ, ქვეითად მოდიოდნენ. ძლივს ამომიღეს იმ საფლავიდან, მომასულიერეს, ჭრილობა შემიხვიეს, საკაცეზე დამაწვინეს და წამიყვანეს. მერე ჰოსპიტალში გამგზავნეს, ჭრილობა მომირჩა და ეხლა, ხომ ხედავ, ისევ ფრონტზე ვარ.

სარედაქციო კოლეგია: ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ. მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28

უე 9489